

დავით შერგელაშვილი

სიმინდის მარტვლებით
შემთხსაზღვრული

ქვეყანა



გამომცემლობა
Carpe diem

უაკ (UDC) 821.353.1-82
გ-51

რედაქტორი
გიორგი ბერძენიშვილი

გარეკანის მხატვარი
ირაკლი დათუკიშვილი

ილუსტრაცია „ლამაზი ქალი“
ნინო ზაალიშვილი

© დავით შერგელაშვილი, 2024

ISBN 978-9941-9902-0-5

სიმინდის მარცვლებით შემოსაზღვრული ქვეყანა

რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას:
რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ილია

ბ ე ქ ა

იდიოტ გიოს ქუსლზე ნალდარტყმული ფეხსაცმელები აცვია. ღამის მდუმარება ისე აუტანლად აწევს ქუჩებს, თითქოს, რაც კი ქვეყნად სიჩუმეები არსებობს, ყველა ერთად შეუკრებიათ, აუკინძავთ და აქ, ამ დაწყევლილ ქალაქში გადმოუსროლიათ. მხოლოდ გიოს ნალების წკარუნი ისმის.

— გამომიხვედი კავბო!

არ მპასუხობს.

დროგამოშვებით ფარებაბრდლვიალებული მანქანა ჩაიქროლებს ცარიელ გზატკეცილზე, ჩვენ კი სადარბაზოში ვართ უკვე შეყუუშულნი.

როგორც იქნა, მივაღწიეთ. წითელი ციცი-ნათელა გამაფრთხილებლად ციმციმებს მაღაზიის ვიტრინიდან. ფეხაკრეფით შემოვუარეთ, ხელის კანკალით — ყინავს ღამით ეს ოხერი — ამოვილეთ რკინის სოლები და მუშაობას შევუდექით. კედლები აგურითაა ნაშენები და იოლად იშლება. ეს მაღაზია ორი კვირის წინ გახსნა მისმა მფლობელმა: დაბალმა, მსუქანმა

და სქელულვაშა კაცმა. სარეკლამო აბრაც თავისი გამომეტყველების შესაფერისი გაუკეთა: ი ა ფ ი მ ა ღ ა ზ ი ა !

ხვრელი ნელ-ნელა დიდდება კედელზე. გულს ბაგაბუგი გაუდის. კიდევ კარგი, იმათ არ ესმით. უკვე თავისუფლად შეიძლება შესვლა. მე გარეთ მტოვებენ ყარაულად. დრო თითქოს გამლხვალი ყინულის ლოლუაა. გიომ და ლეომ შიგნით რაღაცას წამოკრეს ფეხი და წააქციეს. ზურგი დაბმული ძალლივით გაცოფდა, მაგრამ მაინც სარგადაყლაპულივით ვდგავარ. ცოტა ხნის შემდეგ ცივ ოფლს ვიწმენდ შუბლიდან. ერთი, ორი, სამი... ოცდახუთი, ოცდაექვსი, ოცდაშვიდი... ას ოთხი, ას ხუთი, როგორც იქნა. გიოს თავი ნანატრი ბიჭივით მოძრება ხვრელიდან.

— გაიხადე და ფეხებით წამოდი — უდარ-დელი სიცილით ვეუბნები.

არც ახლა მპასუხობს, ბანდის უფროსად თუ წარმოუდგენია თავი. არის კიდეც. მას-თან შედარებით მე და ლეო ცხვირმოუხოცავი ლლაპები ვართ. დღეს პირველად წაგვიყვანა გიომ საქმეზე, ანუ, როგორც თავად ამბობს „მოგვნათლა“. თვითონ, ბებერი მეძავივით, ალარც კი ახსოვს, როდის დაკარგა პირველად ნამუსი. „როგორც კი დავბადებულვარ, ბებიაქალისთვის, — კბილები ღარიბ-ღატა-კი გლეხის ლობეს მიუგავს, — ოქროს ბეჭედი მომიპარავს“. მაღალი, აწონილი, შავი და გრძელხელებაა. უზომოდ ნიჭიერია, მაგრამ

ვერაგი. „სულსა ბოროტსა შინა არ შევიდეს სიპრძნე“ – ეს ბიბლიაში წერია, მამაჩემისგან ვიცი. გემოვნებაც დახვეწილი აქვს. მუდამ მოხდენილად აცვია. ლეო კი დაბალია, ჯმუხი. ვინრო შუბლით, ფოსოში ლრმად ჩამჯდარი თვალებით და მოკაუჭებული ცხვირით მტა-ცებელ ფრინველს წააგავს, მაგრამ ცვილივ-ით დამყოლი და უპრეტეზზიო ხასიათი აქვს. კედლის ხვრელიდან ჯერ გატენილ ჩანთებს გვაწვდის, მერე კი თავად მოძვრება მაჩვივით. თავიდან ბოლომდე მტვერში არიან ამოგან-გლულნი. იფურთხებიან. ჩანთებს სათითაოდ ვიკიდებთ ზურგზე და გიოს სახლისკენ მივძუ-ნძულებთ.

მშვიდობიანად ჩაიარა „ნათლობამ“, მა-გრამ მაინც ისეთი განბილებული გრძნობით მივდივარ შინ, როგორც მეძავ ქალთან პირვე-ლად ნამყოფი პატარა ბიჭი. სახლში შესვლამ-დე ერთი ღერი სიგარეტი ისე მოვწიე, რო-გორც უდაბნოში დაკარგული კაცი დალევდა ერთ პეტვ წყალს. დედას ეძინა და არაფერი გაუგია.

მარის აპრეხილი ცხვირი, დანამული თვალები, ხვეული თმა და გაბუტული ბავშ-ვის ტუჩები აქვს. მსოფლიოში ყველაზე ლა-მაზია. დიდი ქალივით მარიგებს: ნუ ეწევი; ნუ დადიხარ იმათთან; კარგად ისწავლე. ჩურჩუ-ტი. ჩემ წერილებს ისე კითხულობს ყოველ-დღე, როგორც ლოცვანს მღვდელი. გიომ რომ

გაგვიგოს, ორივეს მოგვკლავს. მარის უზომოდ ეშინია მისი. გიოს დანახვაზე შეუმჩნევლად კანკალებს და, ისეთი თვალებით გადმომხედავს ხოლმე, გული მეწურება.

დღეს ყველაზე გვიან მივედი სკოლაში. გიო თანაკლასელებთან ერთად დგას და რალაცაზე გულიანად აცინებს. ლეო ისეთი სახით დადის აქეთ-იქით, თითქოს საიდუმლო აგენტი იყოს. მარი ჩემი დანახვისთანავე თავს ანებებს წიგნის კითხვას; მესალმება და მეკითხება, ვიცი თუ არა გაკვეთილი. მე ვატყუებ, რომ ვიცი, რადგან თავდავიწყებით მიყვარს, როცა მარის რალაც უხარია. ამ დროს პანაწინა ღრმულები უჩნდება ხოლმე ლოყაზე და ძლივსძლივობით ვიკავებ თავს, რომ არ გადავეხვიო.

ჩვენი მასწავლებელი გაუთხოვარი და, ალბათ, ამიტომაც, მკაცრი ქალია. მისი შემოსვლისთანავე ყველა ვჩრუმდებით და ჩვენ-ჩვენ ადგილებზე ვსხდებით. მთელი გაკვეთილის განმავლობაში ანთებული თვალებით გვიხსნის „დიდოსტატის მარჯვენას“. შედევრი, გენიალური ქმნილება, საუკუნის დოკუმენტი და სხვა ასეთი სიტყვები ოთახში შემოფრენილი დიდი ბუზივით დაბზუიან. როდესაც ახსნას მორჩა, მოსწავლეებს გვთხოვა, საკუთარი აზრი გამოგვეთქვა. არავინ კრინტს არ ძრავს. მასწავლებელი ნელი თავის კანტურით გველოდება. ღიმილი მიწებებულივით უფრიალებს სახეზე. უეცრად ნერვები მომეშალა. ფეხზე წამოვხტი და ვთხოვე, ჩემთვის დაერ-

თო ნება აზრის გამოთქმისა. მარი აღფრ-
თოვანებული თვალებით მიყურებს. მასწავ-
ლებელი კვლავ თავის კანტურით მანიშნებს,
დაიწყეო.

— სისულელეა!

— რაა?

— „დიდოსტატის მარჯვენა“ სიყალბეა!

კლასში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს
ხმამაღლა შემეგინებინოს. მასწავლებელმა
სათვალე მოიხსნა, მომიახლოვდა, ისევ გაიკე-
თა, გამარტყა და ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან
გავიდა.

მამა

— უკაცრავად! თქვენ რომელი ზღაპრიდან
ხართ?

უნებურად თავზე წითელ ქუდს ისწორებს
და დაბნეული იღიმება. ისეთი ამჩატებული
არასოდეს ვყოფილვარ. მართლა მგლური სი-
თამამე გამოვიჩინე. ექვსი თვე შორიდან ვიც-
ნობდი. ნატო ნამდვილი წითელქუდა იყო,
ოლონდ თავის გულუბრყვილობას მუდაშ კრი-
ალა და ჭკვიანი თვალებით მაღავდა. მაღალი
ქოშების, მოკლე კაბის და წითელი ბერეტის
გარეშე ის ისევე წარმოუდგენელი იყო ჩემთ-
ვის, როგორც სქელ ქურქში ჩათბუნებული
ვენერა.

გაცნობა ისევე იოლად მოხდა, როგორც

ეს უამრავჯერ მომხდარა ჩემ ოცნებებში. მას შემდეგ დღეები ისე სწრაფად და მსუბუქად ცვლიდნენ ერთმანეთს, როგორც კარგ სიზმარში – ჯერ ველოსიპედით რომ მისრიალებ და მერე გაურკვეველი მარკის, მაგრამ მაინც ყველაზე პრესტიჟული მანქანიდან გადმოხვალ მოულოდნელად. ერთხელაც, სეირნობისას, გულაძეერებულმა ვუთხარი, რომ მიყვარდა და თან ყურები ქურდობაზე ნასწრებული ბავშვივით ამინითლდა. ნატომ სერიოზული ქალის სახე მიიღო და მითხრა, რომ ჯერ კარგად დაფიქრდებოდა და მერე მეტყოდა პასუხს. მთელი საღამოს განმავლობაში მოღუშული დავდიოდი. სახლამდე ისე მივაცილე, ხმა არ ამომილია. ნატო დამემშვიდობა. შეტრიალდა. კარზე დასაკაკუნებლად წაიღო ხელი, მაგრამ სწრაფადვე შემოტრიალდა, გალიმებულმა თვალები დახუჭა და ტუჩები საკოცნელად გამომიშვირა...

ზის და მოთმინებით იყოფს ჩემთან ერთად სიბნელეს. შუქი არის, მაგრამ ბექას რომ არ გაეღვიძოს, სანთელი გვინთია. ძლივს დავაძინეთ. საძინებლის სარკე ერთ დიდ და ორ პატარა მოძრავ ნაწილებად არის დაყოფილი. სანთელი სარკის წინ დგას და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მის უკან უთვალავი ოთახით გადაჭედილი ლაბირინთი იყოს, რომლის თითოეულ ოთახშიც თითო სანთელი ანთია. ნატო თვალდახუჭული ზის

სავარძელში, მაგრამ, ეტყობა, რომ არ ძინავს. მაღალი ქოშები, მოკლე კაბები და წითელი ბერეტი არც კი ახსოვს, სად შეინახა. უკვე აღარ ვიცი, რას შევადარო. ალბათ, კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთ ლაბირინთს, საიდანაც გამოსვლა არაფრის გულისთვის არ გინდა. მინდა, ეს ვუთხრა, მაგრამ ის ფიქრში წასული ვიღაცას ულიმის. იქნებ, თავის თავს. იმ მიამიტ, მალემრწმენ გოგონას, მტკიცედ რომ სჯეროდა, – ბეჭისგან რჩეულ ადამიანს მივყვები ცოლად, რომლის მწერლური ტალანტი ყველას განაცვიფრებსო და თავადაც აბიტურიენტის სიბეჭითით რომ ჩაუჯდა წიგნებს, აქაოდა, ვინმესთან არ შევარცხვინოო. ერთი ლოთი, ფიცხი ხასიათის და ლიტერატურათ-მცოდნეობის ფაკულტეტიდან გარიცხული სტუდენტი კი შევრჩი ხელთ. ბექამ ძილ-ში წამოიტირა. ნატო განგაშის ხმაზე დაფ-ეთებული ჯარისკაცივით წამოვარდა. არაფერია. არაფერი. მინდა, რაღაც ისეთი ვუთხრა, რაც ჯადოსნურ სიტყვასავით ყველაფერს ერთბაშად მოაგვარებს, მაგრამ ასე მხოლოდ სულელურ ზღაპრებში ხდება. ნატო ნიობესავ-ით ამაყია და მიუარებელი. ერთხელაც დავთ-ვრები უზომოდ და დამსმენივით ჩავუკაკლავ ექიმის დიაგნოზს: სიმსივნე. დიახ... მეუბნება ექიმი და ისე იღიმება, თითქოს თავად იყოს დამნაშავე. ვეტყვი. ვეტყოდი, მაგრამ იმის მე-შინია, დროზე ადრე რომ არ გაიბზაროს, არ გატყდეს მისი სვეტივით სული...

შამათი! – ლიმილით ვეუბნები მე. ბექა ნელ-ნელა საბერველაზე შეერთებულ ბურთს ემგვანება. მარჯვენა თვალი ჩალურჯებული აქვს. ბუზღუნით დგება და მიდის. არ უნდა მომეგო. თვალზე მითხრა, რომ კლასელებთან თამაშობდა და შემთხვევით მოუხვდათ. მე კი დარწმუნებული ვარ, იჩეუბა. კალეიდოსკოპით სული აქვს. თორმეტი წლისაა და კაცი ვერაფერს გაუგებ. მინდოდა, მისი ასაკისათვის შესაფერი ლიტერატურის გარდა ჯერ არაფერი წაეკითხა, მაგრამ მელვილზე ეკეტება უკვე ჭუუა. დღეს მაინც არ უნდა მომეგო. ალბათ, არა მარტო ხელმოცარული მწერალი, არამედ ყველაზე ცუდი ქმარი და მამაც ვარ...

ბექა

გიოს ოთახი პლაკატებით არის მოფენილი. სანამ ის აფთიაქარის სიზუსტით ანანილებს ყველაფერს, მე და ლეო მანამდე სიგარეტს ვეწევით და ვლაყბობთ. ტელევიზორი ჯერ არ გახურებულა და იმ კაცის უკმაყოფილებით ბურტყუნებს ალაგ-ალაგ წამოსროლილ სიტყვებს, რომელიც ღრმა ძილიდან ახლახან გამოარკვიეს. გიო მორჩა თავის საქმეს, რაც სამად ვერ გაყო, ცალკე გადადო და გვეუბნება: ერთი კარგი საქმე ვიცი და დღეს იქ წავიდეთ ღამის ორ საათზეო. თითქოს მის პასუხად, გა-

რეთ ავტომატმა დაიკავანა. ვინმე მთვრალი მხედრობნელი ინებაო, – მაინც აგვიხსნა გიომ.

სადარბაზოში ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი. თითქოს, კიბეზე კი არ ჩადიხარ, სიზმარში ზღვაში შედიხარ, მაგრამ გაურკვეველია, არის თუ არა ნამდვილი ეს ზღვა.

ბოლო სართულზე მაინც არ ცხოვრობდეს – ბრაზობს ლეო, რადგან ლიფტი, დიდი ხანია, რაც გიოს წყალობით აღარ მუშაობს.

– დენი მაინც არ არის! – ვამშვიდებ მე.

როგორც იქნა, დაბლა ჩავალწიეთ. ლეოს დროებით გამოვეთხოვე და სახლისკენ წავე-დი. თავადაც გამიკვირდა, ისე ოსტატურად შევაპარე სახლში ჩანთა. მთავარია შემდეგ დედა დავაჯერო, რომ ეს ყველაფერი კი არ მომიპარავს, არამედ.. დედა გაფართოებული თვალებით მიყურებს – ასე მას შემდეგ დაჩი-მდა, რაც მამა აღარ არის – და ხმადაბლა მე-კითხება, სად ვიყავი. არსად. თვითონ უკვე დალია, ახლა მე მისხამს უშაქრო ჩაის, თან ურევს მექანიკურად. იატაკზე რაღაც წერ-ტილს მივჩერებივარ უაზროდ. ზემოთ ამოხედ-ვა მიჭირს. გული თითქოს კარგად დატკეპნი-ლი თოვლის გუნდაა, რომლის შიგნით პატარა ქვა ჩაუტენია ონავარ ბავშვს.

ღამის ორის ნახევარია. ჩემი საწილი ოთახიდან კარამდე, თითქოს ხაფანგები იყოს დაგებული, ისე მივდივარ, თან ჩანთას მივა-

თრევ. საკეტმა მაინც გაიჩხაკუნა. სანამ გიოს სახლამდე მივიდოდი, ჩანთა ბუნკერში გადავაგდე. რომ მივედი, გიო წვერის გაპარსვას იწყებდა. სულ მალე ლეოც გამოჩნდა. გიომ კარგა ხანს გვალოდინა. ინდაური. მერე დედას ორი დღე ვეფიცებოდი, რომ ფული სრულიად შემთხვევით ვიპოვე გზაზე.

გ ი თ

ალბათ, ჩამოლებას უპირებს, ისე აკაკუნებს. ნელა და მძიმედ. დედა გზამოჭრილი ნადირივით აცეცებს თვალებს. კაკუნი წყდება. რამდენიმე წამის განმავლობაში ისეთი სიჩუმე ისადგურებს, როგორიც მხოლოდ გატენილი იარაღის ლულიდან შეიძლება გამოვიდეს. დედა კარს სწრაფად აღებს და ისეთი ხმით კივის, თითქოს თავჩაღუნულ ვიღაცებს კარებში კუბო შემოჰქონდეთ. მამაჩემი წაშლილი სახით დგას. უფრო სწორად, ბანცალებს, საათს ძლიერ იხსნის მაჯიდან, ბირთვისმკვრელივით ხელი უკან მიაქვს და მთელი ძალით კედელზე ანარცხებს.

მთელი ღამე ყელში დანაგაყრილივით ხრიალებს. დედა მიცდის, როდის დამეძინება, რომ სიგარეტით მოითქვას სული. ჩემ წარმოდგენებში ასჯერ მაინც ვდგები, სამზარეულოდან ყველაზე დიდ დანას ვიღებ და ორივეს ერთმანეთს ვაკლავ.

როგორც ყოველთვის, პურის მაღაზიის ეზოში უამრავი ხალხი ირევა. ალაგ-ალაგ ცე-ცხლიც დაუნთიათ. მეც არ ვიცი, რატომ წამო-ვიღე იარაღი. უკვე გათბა და ტანზე შეხებისას აღარ მაურუოლებს. ყოველდღე ვწმენდ ხოლმე და თან საათობით ვეფერები.

რას არ გაიგებ, ყველაფერი იციან აქ: ვის ვინ უყვარს, ვინ ვისთან დადის და რა ხდება მთავრობაში. ბექა და მარი კოცონთან დგანან და ერთმანეთს თვალებში შესციცინებენ. ჩემი დანახვისთანავე ორივენი შეთქმულებივით ჩუმდებიან. სულში, ძალლს რომ ჭამის დროს მიუახლოვდებიან, ისე ვილრინები. ან ვდუმ-ვართ, ან გულისგარეთ რაღაცაზე ვლაპარა-კობთ. კიდევ კარგი, პურის მანქანა გამოჩნდა. ხალხმა შორიდანვე შეამჩნია და სიხარუ-ლი სტვენით გამოხატა. რიგი ვიღას ახსოვს. ყველაზე კარგი ახლაა ჯიბგირობა, მაგრამ არ მინდა, მარიმ დამინახოს. ბექა ტალონებს ართმევს მარის და ბრბოში ეტენება. ნახევარი საათის შემდეგ, კაი ნაჩხუბარივით გამოდის და სიცილით ამბობს, რომ პური უკვე გათ-ავდა. ჯერ სიტყვა არ აქვს დამთავრებული, სიცილი წკეპლაგადარტყმულივით უქრება და ხან მარის უყურებს, ხან მე. მარის ცდილობს თავი შეიკავოს, მაგრამ ცრემლები მისდა უნ-ებურად სცვივა. წელან სიყვარული ავუხსენი და რაღაცებიც დავემუქრე. ბექა გვეუბნება, ცოტა ხანს დამელოდეთო. ხუთ წუთში ბრუნ-

დება და ერთ პურს ძალით უტენის მარის ჩანთაში. სახლამდე ორივემ მივაცილეთ. არც დავმშვიდობებივართ მე და ბექა ერთმანეთს. მერე მთელი ლამის განმავლობაში ვნერვი-ულობდი, მარის რომ ვაწყენინე. ის ერთადერთი არსებაა ამქვეყნად, ვისი გულისთვისაც... ოღონდ მთხოვოს და ჭიანჭველასაც კი ფეხს არ დავაბიჯებ.

— გიჟი იქნებოდა! — ასკვნის ლეო და ჩუმ-დება.

ბექა ავად იყო გუშინ და საქმეზე არ გა-მოგვყოლია. ერთ კარგად ჩაცმულ ბიჭს ავეკი-დეთ. თითქოს მხოლოდ მაშინ გამოერკვა ფიქრებიდან, დანა რომ დავადეთ და ვუთხ-არით, ჩუმად ყოფილიყო. ცოტა ხანს გვიყურა და უცებ შემზარავი სიცილი აუტყდა. ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, აღარ ვიცოდი, რა მექნა. რომ გავრბოდით, კიდევ კარგა ხანს გვესმოდა მე და ლეოს მისი საშინელი სიცილი. ბექა ხან ილიმება, ხან ჩაფიქრებული სახით სიგარეტს აბოლებს და:

ღმერთმა იცის, — გვეუბნება ხმადაბლა, — ვინ არის ამქვეყნად გიჟი და ვინ ჭკვიანიო!

ლეო

დილიდან „სატკაზე“ ვართ. გიო გამგე-ლებული მუშაობს. მე და ბექა მხოლოდ ხელს

ვუშლით. ბექა განსაკუთრებით. მისგან არა-სოდეს გამოვა ჯიბგირი.

ამასწინათ ვაგზალზე ვიყავით. ცოტა წინ-წელავდა და ხალხს ქოლგები გაეშალა. სამივე ერთად ვიდექით და ისე ვლაპარაკობდით, თითქოს ლექციებზე გვაგვიანდებოდა. უე-ცრად, ხალხში ჩოჩქოლი შევნიშნეთ. ვიღაც ლამაზმა ქალმა, გახსნილი ჩანთა ჩაარტყა მის უკან მდგომ წვერებიან კაცს. ეს, ალბათ, ში-შისგან მოიმოქმედა, რადგან ძალზე აღელვე-ბული ჩანდა. ის წვერებიანი დაახლოებით ოცდათი წლის იქნებოდა. არც დაფიქრებუ-ლა, ისე შეუბრუნა იმ ქალს ხელი. გვერდზე მდგომი ბერიკაცი გამოესარჩლა, მაგრამ იმ-წამსვე მოცელილივით დაბლა დაეცა. ჯიბგირ-მა ზედ ორიოდე წიხლიც მიაყოლა და არც-თუ ისე ჩქარი ნაბიჯით იქაურობას გაშორდა. ბექას რომ შევხედე, მკვდრისუფრი ედო. ან-თებული თვალებით გვანიშნა, უკან გავყ-ოლოდით. გარეთ რომ გავედით, დავინახეთ, ის ჯიბგირი მოცეკვავესავით თავაწეული და მხრებგაშლილი მისეირნობდა ქუჩაში. ცოტა ხანს უკან მივდიეთ, სანამ ერთ-ერთ ჩიხში არ შეუხვია. ბექამ დაუძახა: ერთი წუთით გაჩ-ერდიო და, როგორც კი მოტრიალდა, სახეში მთელი ძალით მუშტი ჩაარტყა. სამივე გამე-ტებით ვურტყამდით. წაქცეულ საფრთხობე-ლას რომ დაემსგავსა, თავი მაშინ დავანებეთ და გავიქეცით.

ტროლებუსი, ის იყო, გაჩერებას მიუახ-

ლოვდა, რომ ჩვენ წინ მდგომმა გოგონამ ყვირილი მორთო. ანგელოზების სახით ჩამოვედით და ვითომც ერთად არ ვყოფილვართ, ისე განვაგრძეთ გზა. სამივე დაგვიჭირეს და პოლიციის მანქანაში ჩაგვტენეს. რა ცუდი შეგრძნებაა, ბორკილები რომ გადევს ხელებზე. თავიდან არაფერი, ცოტა გართობს კიდეც მაგრამ შემდეგ გგონია, მთელი ცხოვრება ასე ბორკილდადებულმა უნდა გავატაროო.

განყოფილებაში მხიარულად მიგვიღეს. ცალ-ცალკე საკანში შეგვყარეს, ნახევარ საათში მოიფიქრეთ, როგორ დაწეროთ ჩვენებაო, გვითხრეს და გისოსები დაკეტეს. დრო ჯერ საერთოდ არ გადიოდა, მერე კი საპნის ბუშტივით უცებ გაქრა. თავში ათასი აზრი მიტრიალებდა, მაგრამ კარი რომ გახსნეს, სუყველა ერთიანად გამიფრინდა. კაბინეტში შემიყვანეს, სავარქელი შემომთავაზეს და, ისე უბრალო, შინაურული ლაპარაკი გამიბეს, თითქოს სასკოლო გამოცდაზე ვიყავი. ბექა და გიოზე მითხრეს, ეგენი ჩვენი ხალხია, ტყუილად ჯიუტობ, მაინც ყველაფერი ვიცითო. ფურცელი და კალამი მომირბენინეს. მაინც რომ არაფერი გამოუვიდათ, კარადა გამოალეს და იქიდან პარკეტები და რაღაც მოწყობილობა გადმოიღეს. ფეხსაცმელი გამახდევინეს და მაგიდაზე დამაწვინეს. ჯერ ისე ვყვირდი, თითქოს ძალიან მტკიოდა, მაგრამ სულ მალე მშობიარე ქალივით ავკივლდი. ტკივილი თითქოს პატარა ბურთულები იყო, რომლებიც

ფეხისგულებში მქონდა ჩალაგებული. პარკეტს რომ დაარტყავამდნენ, ისინი მთელი სისწრაფით ტვინისკენ მიქროდნენ და თან გზადაგზა დიდ-დებოდნენ. გონს რომ მოვედი, მაგიდასთან ვიჯექი და იმ აპარატზე ვიყავი შეერთებული. ჩემ წინ განყოფილების უფროსი იჯდა, პარკეტს ხელისგულზე ირტყამდა და მეკითხებოდა: დანერ თუ არა ჩვენებასო? მე უარის ნიშნად თავი გავაქნიე და იმწამსვე ციებიანივით ავძაგძაგდი. გონზე ისევ საკანში მოვედი. ალბათ, საკეტის ჩხაკუნმა გამომაფხიზლა. გამოეთერიო – მითხრა მორიგემ. ძლივს წამოვდექი და გავედი. ღამის თორმეტი საათი ხდებოდა. ბექას და გიოსაც გაუხსნეს გისოსები და ისინი ისე გამოვიდნენ საკიდან, თითქოს უძვირფასეს მოზაიკაზე ტალასიანი ფეხსაცმელებით მოაბიჯებდნენ. გარეთ რომ გაგვიყვანეს, – აბა, ახლა მოუსვით აქედანო – გვითხრეს და სათითაო პანლური ამოგვარტყეს.

ყველას თეთრი პერანგი გვაცვია. დღეს სკოლა მოძრავ გამოფენას ჰგავს. „ბოლო ზარია“ და ჩვენმა კლასმა გამოსათხოვარი სპექტაკლი უნდა დადგას. სააქტო დარბაზში ქვეყნის ხალხი ირევა. სუნთქვა ჭირს. ბექა მხიარული განწყობით შემოდის. მე ვერ მხედავს, კლასელ გოგოებთან მიდის და რაღაცაზე ელაპარაკება. უეცრად სახე ისე ეცვლება, თითქოს მიწა იძრაო. ცოტა ხანში გარეთ გადის. მეც უკან მივყვები. რომ შემოვაბრუნე,

ისეთი სახით შემომხედა, თითქოს პირველად მხედავდა.

— რა მოხდა?

არ მპასუხობს.

უკან ვძრუნდები, გოგოებთან, და ახლა მათ ვეკითხები. მარი გათხოვდა.

— რაა? ვის გაყვა?

ვიღაც მამისტოლა კაცს.

ბექას გავხედე. ის ისევ მოშორებით იდგა და მთელი ტანი მდინარეში დახრჩობას გადარჩენილივით უცახცახებდა.

გიო ბავშვი კი არა, ნამდვილი, ხორცულებელი ეშმაკი იყო. დიდი ბიჭებიც კი ერიდებოდნენ. დღე ისე არ გავიდოდა, ვინმე არ გაელახა. ვინც შეეგუებოდა მისგან ჩაგვრას, იმას მოსამსახურესავით იყენებდა. გიო ყველას სძულდა, მაგრამ, ჩხუბის დროს მთელი სკოლის ბიჭები მის გვერდით ვიყავით. ბექას არავინ ჰყავდა. ის ერთადერთი იყო, ვინც გიოს თავს არ უხრიდა, ამიტომაც ყველაზე მეტი მას ხვდებოდა. ყველას გვეგონა, სამუდამოდ მტრებად დარჩებოდნენ, მაგრამ ერთ დღესაც გიო მივიდა და ბექას ძმაკაცობა შესთავაზა. ის დაბნეული უყურებდა — ხომ არ დამცინისო. გიო კი ღიმილით ეუბნებოდა, — შენ ერთადერთი ვაჟკაცი ხარ ამ სკოლაშიო.

დ ე დ ა

თავისი დასაწვავი ფოლკნერი და ოტერო სილვა ქვეყანას ურჩევნია. ახლა კორტასარიც მიემატა. ამას წინ მორჩია მის კითხვას და მას მერე არ გამოფხიზლებულა. გუშინ ღამით საიდუმლოდ გამანდო, რომ დრო თურმე, რაღაც კალიას მსგავსი, მუდამ მოუსვენარი მწერი ყოფილა, რომელიც არასდროს ერთ ადგილას არ ჩერდება და, სულ დახტის და ჭრიჭინებს გაუთავებლად. ადამიანს კი მხოლოდ ის დარჩენია, ცალი ფეხსაცმელი გაიძროს, ასკინკილით გამოეკიდოს და, თუ სადმე მოიხელთა დაუნანებლად გასრისოს.

რაც დრო გადის, თანდათან ვრწმუნდები, რომ ინტელექტი სიკვდილივით შავი შხამია, რომელსაც წვეთწვეთობით აგროვებს ადამიანი, რომ მერე სულმოუთემელად გამოცალოს. უკვე ღამის თერთმეტი საათია. ჩემ ქმარს რომ კითხო, საათით დროის გაზომვა ისევე აბსურდული და სასაცილო რამეა, როგორც ნიჩბით ზღვის ამოხაპვა. ჩვენი ძველი საათი კი ისე ჯიუტად აჩვენებს თერთმეტს, თითქოს ანი არსად ფეხის მოცვლას არ აპირებდეს, თითქოს დღეის მერე სულ თერთმეტი საათი იქნება, სულ, სულ და ქუჩაშიც აღარასოდეს დაგვჭირდება დროის გასაგებად გამვლელის შეჩერება; დილით გაიღვიძებ, შეხედავ საათს და თერთმეტი იქნება. სამსახურში არ დამაგვიანდესო, იფიქრებ, ნაუცბათევად მორჩიები ყველაფერს

– ხელ-პირს დაიბან, ჭამ, ჩაიცვამ, გაიქცევი, მიხვალ და იქაც თერთმეტი საათი დაგხვდება გაჭიმული. შესვენება თერთმეტზე, თერთმეტამდე. სახლში წასვლა თერთმეტზე, ტელევიზორს ჩართავ და საინფორმაციო გამოშვება, როგორც ყოველთვის, ზუსტად თერთმეტზე. ძილიც თერთმეტზე, მერე ისევ გაიღვიძებ თერთმეტზე, საათს შესედავ და...

ბექა ძილში ანგელოზებს უღიმის. წელან კი ქვეყანას იკლებდა ტირილით.ძლივს დავაძინე. მშიერი კუჭით. მაინც სადაა ამდენი ხანი. შუადღეს რძეზე გავაგზავნე მაღაზიაში და უკან აღარ დაბრუნებულა. ალბათ, ვიღაცებთან ერთად ზის, ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებს, ან შთაგონებული სახით დგას, ელოდება, როდის ჩამოვარდება სუფრაზე სრული სიწყნარე, რომ სულშეგუბებული ხმით წაიკითხოს: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით“... ეჰ, ნეტავ სულ პატარა, ნემსის ჩასაგდები ადგილი მაინც იყოს სადმე მართლა ამ საშინელ დედამიწაზე, სადაც თუნდაც მცირე ხნით შესაძლებელი იქნებოდა ბედნიერება. ან სიმარტოვე.

მამა

ყველაზე დიდი უსამართლობა ამქვეყნად სიკვდილია. თუნდაც, ფართოდ გაღებული კარი იყოს მარადისობისა.

მარი

უკვე ერთი კვირაა, რაც ბექა არ მინახავს. მეგონა, ჩემ დაბადების დღეზეც არ მოვიდოდა, მაგრამ ფანჯრიდან დავინახე, როგორ მოყვებოდა კლასელებს. ყველაზე წინ გიო მოდიოდა, ხელში ყვავილების მთელი ბუჩქი ეჭირა და გულიანად იცინდა. ბექას მთელი საღამოს მანძილზე ხმა არ ამოუღია. გიომ კი თავი თამადად დაინიშნა და, რაც იცოდა, ყველაფერი გადმოაფრქვია. როდესაც ყველამ წასვლა დააპირა, ბექა მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა. თვალით მანიშნა, მივსულიყავი. რომ მივუახლოვდი, ჯიბიდან საათი ამოილ და მაჯაზე გამიკეთა. მადლობის თქმა მსურდა, მაგრამ ისეთი უცნაური რამ მითხრა, სახტად დავრჩი: „მარი! გამიხსენე ხოლმე... როცა გაჩერდება“.

მამა

სიცოცხლე რომ მართლა ფასეული რამ იყოს, მაშინ სასიამოვნო კი აღარ იქნებოდა მისი ჩასახვის პროცესი. სასიამოვნო თუ სასაცილო? ორივე ერთად. ღმერთმა ცოდვა რომ დაუშვა, თან თაფლიანი თითივით წააცხო ზედ ერთი ბეწო სიამოვნება და მას მერე, ჩვენც ბუზებივით ვეხვევით ამ სატყუარას. სიცოცხლეც ერთი დიდი ცოდვაა, უფრო სწორად,

ყველაზე დიდი, მაგრამ არა უსაშველო, არა მოუნანიებელი. ღმერთმა სიცოცხლის გვერდით სიკვდილი იმიტომ კი არ გააჩინა, რომ მერე სამოთხეში ეპარპაშა კაცს (თანაც მარადიულად), არამედ იმიტომ, რომ ის, თავის ყველაზე დიდი ცოდვა მოენანიებინა და აღარასოდეს გაემეორებინა.

სიკვდილს იქით, ისევე, როგორც დაბადებამდე, არაფერი არ არის. უფრო სწორად, კი არის, მაგრამ არა შენთვის. კაცს კი, ყველაზე მეტად, ამის დაჯერება არ უნდა. ვერც დააჯერებ, თუნდაც ათეისტი იყოს – გულის სილრმეში ხომ ყველას მოგვეპოვება წერტილისოდენა იმედი გადარჩენისა და ნემსის ჩხვლეტასავით მტკიცნეული სურვილი სიცოცხლისა. მეც, ანდერძად უნდა დავიბარო, რომ ჩემ საფლავზე შუქი ჩაუქრობლად ენთოს და თან ერთი პატარა რადიოც ჩამოკიდონ სადმე, თორემ გავგიუდები. რა გამაძლებინებს მარტოდმარტო ღამით სასაფლაოზე? სისულელეა, არა? თუ კაცი მოკვდა, რალად უნდა ან შუქი, ან რადიო? ჰო, მაგრამ ასეთი სასაფლაოს წარმოდგენა ცოტა მამშვიდებს.

ერთ ბრძენს უთქვამს: სანამ მე ვარ, სიკვდილი არ არსებობსო. სულ პირიქით კი არის. ზუსტად მანამდე არსებობს სიკვდილი, სანამ მე ვარ, და ისიც ისევე კვდება ჩემთან ერთად, როგორც... არავინ. არავინ. დიახ, არავის სურს, არავის შეუძლია სხვასთან ერთად სიკვდილი (თუ ეს სხვა გვერდით არ გიზის ცეცხ-

ლწაკიდებულ თვითმფრინავში და არც მაშინ) და, ვინ იცის, იქნებ, ამიტომ ვკვდებით ადამი-ანები. ცალ-ცალკე. (რომეო ვითომ უბედური იყო?). გამოდის, რომ ადამიანის ერთადერთი, განუყრელი მეგობარი სიკვდილია. იქნებ, ის ჩრდილია? ჩვენ კი ყურადღებას არ ვაქცევთ. დავდივართ ჩვენთვის, ფეხებზე გვიდია ჩრდილიცა და სიკვდილიც. ის კი საცოდავად უკან დაგვდევს, ნაკალევს გვიკუცნის, შიშობს (ყველა ჩვენ ახლობელზე მეტად შიშობს), არაფერი მოგვივიდეს, თორემ თავადაც ხომ გაქრა პატრონთან ერთად სამუდამოდ? სამუ-დამოდ. სამუდამოდ. სააამუუდააამოოოდ... დიახ, საბედნიეროდ.

ლ ე ო

სახლი სადაცაა გაფრინდება. „ბოლი“ გიომ იშოვა. ამდენი კვამლის ყლაპვის შემ-დეგ, თუ კიდევ ცხოვრებაში რამეს მოვწევდი, არ მეგონა, მაგრამ გიომ მალევე სიგარეტი ამოილო და მე და ბექას გამოგვიწოდა. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ჯერ ისეთი არაფერი. მერე გიო წამოდგა და გვითხრა სახლის სახ-ურავზე ავიდეთო. იქ მტრედები ჰყავს. რომ ავედით, დარაბები გახსნა და იქიდან ერთი ამბით გამოფრინდნენ მტრედები. მხოლოდ „პისკუნა“ დარჩა. ყველაზე პატარაა და ასე იმიტომ დავარქვით. ბექას ჩახუტებული ჰყავს

და ეფერება. უეცრად ჰაერში აისროლა. მეც ავიხედე. ალარ ჩანს. ვერტმფრენი გუგუნებს. არსად არაფერი არ ჩანს, მაგრამ რაღაც მაინც გუგუნებს. ჩამოვარდა. ცხელა. მზე. სხეულ-ში ატანს. და სინათლე. ყოველივე თეთრია და პატარა. პისკუნასავით. რომ ალარ მოვიდეს? ბექა. რაღაცას ყვება და გიუივით იცინის. მეც გავიგე. ვიცინი. მაგარია. რაღაცას ვყვები და, ჩემი ტუჩები ისე მოძრაობენ, თითქოს ისინიც რაღაცას ყვებიან. გიო, აუ, სიგარეტი მომე რა! მე. ნაფაზი. პირველი. რა ძმები ვართ! სექტემ-ბერი. ახლა, ცოტა კიდე რო იყოს... მოვა.

ბ ე ქ ა

ყოველთვის, მამა თითქოს ყოველთვის მკვდარი იყო – მაშინაც, მწვანედ ახასხასებულ მინდორზე, ფეხშიშველი, ბურთს რომ გვეთამაშებოდა ბავშვებს; მაშინაც, თეთრ ქალალდებში შეფუთულ, ტაოტწასმულ ველოსიპედს (სამბორბლიანს, ჩემი დაბადების დღის საჩუქარს) უბედნიერესი კაცის ღიმილით რომ მოაგორებდა ქუჩაში (და მე ლეკვივით ვედებოდი ფეხებში); და მაშინაც, ჩაქუჩის საზარელი რაკარუკით რომ დააჭედეს მის კუბოს უკანასკნელი ლურსმანი და თითქოს ამას ელოდნენო, ყაყანით ჩაფლეს ვიღაც უცხო კაცებმა მიწაში.

ლ ე ო

— თუ გავაკეთეთ, ავშენდებით! — გვეუბ-ნება გიო და თან, საკეტის გასატეხად საჭირო იარაღებს ატრიალებს ხელში. ყოველ ლამე გიოსთან ვიკრიბებით და გეგმებს ისე ვაწყობთ, გეგონება, გენერლები ვიყოთ და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ვემზადებოდეთ. თითოეულ წვრილმანს ვითვალისწინებთ, მაგრამ ვარი-ანტები არ ილევა და ბოლოს უბრალოდ გა-დავწყვიტეთ: ბექა გარეთ დგება, თუ რამეა გაგვაგებინებს. დანარჩენი ჩვენზეა...

ბ ე ქ ა

რომ გამეღვიძა, ენით აუწერელი ში-შის გრძნობა დამეუფლა. მესიზმრა, ვითომ მარისთან ვიყავით კლასელები. სავარძელში ვიჯექი, ყავას ვსვამდი. ყავის წვეთი დამეცა. დავიხედე და... შარვალი არ მაცვია. კლასელე-ბი ყველაფერ ამას, ვერც ამჩნევდნენ. მოუ-ლოდნელად, ისევ შინ ალმოვჩნდი და შარვალს ვიცვამდი. გარეთ რომ გამოვედი, ქუჩაში ისე დავდილდი, თითქოს იმის თქმა მინდოდა — აი, ყველამ შემომხედეთ, კარგად დარწმუნდით, მაცვია თუ არა შარვალი-მეთქი. გამვლელე-ბი ისე მიყურებდნენ, თითქოს ყველამ იცოდა, რაც იყო ჩემ თავს. ისინი ჯერ ჩვეულებრივად მოსეირნობდნენ, მერე კი, რომ გამცდებოდ-

ნენ, ირონიული ღიმილით აქნევდნენ თავს და
ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ...

ლ ე რ

ღამის პირველი საათია. ქუჩაში საშინელი
ქარი ქრის. ზოგჯერ ისე დაუბერავს, ნაბიჯს
ძლივს ვადგამთ.

– ჩვენ რომ გვჭირდება, ისეთი ამინდია!
– უხარია გიოს.

– ძალლი კატას არ გაეკიდება! – სიცილ-
ით ამბობს ბექა.

მივედით.

– შენ აქ იყავი! ეუბნება გიო და ბექას
მხარზე ხელს ურტყამს ორჯერ.

ხუთი წუთის შემდეგ უკვე „სახლში“ ვართ
და პატარა ფარნებს მღვიმის პირველალმომჩენ-
ებივით ვატრიალებთ. გიო მეძებარი ძალლივ-
ით დარბის ოთახიდან ოთახში. მე მხოლოდ
ჩანთები მიჭირავს და მის მიერ მოწოდებულ
ნივთებს რაც შეიძლება მჭიდროდ ვტენი.

– წავედით! – ჩურჩულით მეუბნება გიო
და ვხვდები, თუ რა აუტანელი სიჩუმე იდგა
მთელი ამ ხნის განმავლობაში. დაბლა რომ
ჩავედით, ბექა სიცივისგან ისე ცმუკავდა ერთ
ადგილზე, თითქოს მუსიკის გარეშე ცეკვავსო.
როგორც კი დაგვინახა, ფეთიანივით მოვარდა
და სხაპასხუპით მოგვაყარა:

– „ძალლები“ იყვნენ მოსულები და მკითხ-

ეს – ერთი ძალიან მაღალი ბიჭი ხომ არ დაგინახავს აქ რომ გაერპინოსო. მე ხელი ალალ-ბედზე გავიშვირე და ისინიც იქით გავარდნენ.

– ეგ არაფერი! – დავამშვიდე მე და გატენილი ჩანთა მივაწოდე.

– მაგის დრო გვაქვს ახლა? – კბილებიდან გამოსცრა გიომ და სამივე – თითქოს სასტარტო პისტოლეტი გაისროლესო – მისი სახლისკენ გავიქეცით.

ბ ე ქ ა

სკოლის ეზოს მივუახლოვდი, დავინახე გიო და ლეო ვიღაც მაღალ ბიჭთან ერთად იდგნენ. რატომლაც ცივად მომესალმნენ. გიომ ის ბიჭი გამაცნო და მითხრა – იოსებასთან ვართ დაბარებულიო. იოსება „კანონიერი ქურდია“ და ქალაქში ერთ-ერთ დაფასებულ კაცად ითვლება. ღამეში, ალბათ ანათებს კიდეც – ისე ჭრელი თვალები აქვს, რომ გიყურებს, ისეთი შეგრძნება გებადება, თითქოს ობობა შეგიცოცდა სულშიო. მსუქანი, მაგრამ ვერცხლისწყალივით სულ მოუსვენარია. წარმოდგენაც არ აქვს, ქართულ ენაში „თქვენობითი“ ფორმა თუ არსებობს.

– წავიდეთ! – ვეუბნები მე და მივდივართ.

ავტობუსში ოთხივე უცხოებივით ვსხედვართ.

იოსებასთან კიდევ ორი უცნობი დაგვხვ-

და. უფროს ძმასავით შეგვხვდა, მოგვიკითხა, ბევრი დრო არ მაქვსო, გვითხრა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. თურმე, ის მაღალი ბიჭი, ჩემი წყალობით დაუჭერიათ და ახლა სამართალს და იმ ფულს ითხოვდა, რაც პოლიციამ წაართვა. ალბათ, გიოსგან გაიგო, მე რომ იმ ღამეს ალალბედზე გავიშვირე ხელი. იოსება მეკითხება, – მაქვს თუ არა რამე სათქმელი და ისე მიმზერს, თითქოს საზღვარზე გადაპარვას ვცდილობდი და უეცრად პროექტორების დამაბრმავებელ შუქში აღმოვჩნდი გახვეული. მე ენაგადაყლაპულივით ვდგავარ, იმდენი რამ მაქვს სათქმელი. მერე იოსება პირში ასანთის ლერს იდებს და მეუბნება: მაინც ჩამშვები ხარ, მაგრამ ნუ გეშინია, ეგ მარტო ჩვენ გვეცოდინებაო.

დ ე დ ა

სამსახურში რომ მივდიოდი, ბექას კუთხეში დავსვამდი, გარშემო სიმინდის მარცვლებს შემოვუყრიდი და ვეუბნებოდი: ამას იქით ფეხი არ გადადგა, თორებ ჩვენი ზღაპრების წიგნში რომ ეშმაკები ხატია, ისინი მოგიტაცებენ და ველარასოდეს გიპოვი-მეთქი. როცა დავბრუნდებოდი, ისევ იმ ადგილას მხვდებოდა და ბარტყის გაოცებული თვალებით მომჩერებოდა. როგორც კი ავიყვანდი, თავის პანაწინა ხელებს კისერზე მაგრად შემომხვევდა და ატირდებოდა...

ვინ იცის, მერამდენედ ვატრიალებ ხელ-ში ქალალდის ამ პატარა ნაგლეჯს. „რა მჭირს თქვენი საპატიებელი“ ანერია გაკრული ხელით.

იმ დღეს სკოლაში ვიყავი. მასწავლებლებმა მითხუს, ბექა ძალიან ნიჭიერი ბავშვია, მა-გრამ არაფერს არ სწავლობსო. მიჯობდა, მიწა გამსკდარიყო და თან ჩავტანე. შინ გაბრა-ზებული გამოვიქცი. საკეტს ძლიერ მოვარგე გასაღები და, შევედი თუ არა, ბექას დავუ-ძახე. ხმა არავინ გამცა. ოთახები მოვიარე და ბოლოს სააბაზანოს კარიც გავაღე. სიბნელეში ვერაფერი გავარჩიე. შუქი ავანთე და იმნამსვე გონება დავკარგე. არ მახსოვს, რამდენ წუთს ვეგდე გულწასული. შეიძლება, მხოლოდ ერთი წამი. როგორც კი თვალი გავახილე, ბექას ვეცი და სააბაზანოდან გამოვათრიე. გარშე-მო ყველაფერი წითელ სიზმარს ჰეგვდა. ბექა საკუთარ სისხლში ცურავდა. არ ვიცი, საიდან გაჩნდნენ მეზობლები. სასწრაფოს კი, ალბათ, მათ გამოუძახეს. ერთმა მეზობელმა, ქალ-ალდის ეს პატარა ნაგლეჯი იპოვა და მეორეს აკითხებდა. ხელიდან გამოვგლიჯე და გულში ჩავიხუტე. იმის მერე, სულ თან დამაქვს, რომ ყოველ შეხებაზე ცეცხლიდან გამოგდებული ნაკვერჩხალივით მწვავდეს სხეულს...

გ ი ო

რაც დამიჭირეს, ლეო ზონის კარებს არ

მოცილებია. თითქმის ყოველდღე მოდის სანახვად. ახლაც ჩემ წინ დგას და სიგარეტს ეწევა. მინდა, ძველ ამბებზე ჩამოვაგდო სიტყვა, მაგრამ მე და ლეო ამას ყოველთვის ვერიდებით. ერთი პატიმარი მომიახლოვდა და ასანთი მთხოვა. „ქურდების ძმაა“, მაგრამ ისე თავმდაბლურად იქცევა, ვითომ ჩვეულებრივი პატიმარი იყოს. ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ გველივით მეზიზლება. მადლობას მიხდის და მიდის. მაინც მეზიზლება ყველა თავის „ძმებიანად“. მინდა, ლეოს გავეხუმრო, მაგრამ ის უცებ ნატო დეიდაზე იწყებს ლაპარაკს. საკუთარი შვილივით ვუყვარვარ, ჩემ დანახვაზე მეტად არაფერი უხარია, ბექაზე ისე მელაპარაკება ხოლმე, თითქოს ცოტა ხნით სოფელში იყოს წასული და სულ მალე აპირებდეს ჩამოსვლას. მატყობს, რომ ცოტაც და დავეცემი. ლეო ჩუმდება და უხერხულად ატრიალებს სიგარეტს ხელში. არ გამიკვირდება, ანთებული მხრიდან რომ ჩაიდოს პირში.

— აბა, კარგად, ლეო! — ვეუბნები მე. ის ახლა მოულოდნელად განთავისუფლებული პატიმარივით ილიმება. კარში გასვლამდე, კიდევ ერთხელ ტრიალდება და ხელს მიქნევს. თუნდაც, სამუდამო პატიმრობა მქონდეს მისჯილი, ოღონდ ახლა მასთან ერთად ბექაც იყოს, რომ შემეძლოს გულში ჩაკვრა და თქმა: ბექა! შენ ძმა ხარ ჩემი. ყველამ იცოდეს...

ლ ე ო

ისმინეთ. აჰა, გამოვიდა მთესავი თესვად.

ზაფხულია. დაუნდობლად აჭერს მზე,
თითქოს დედამინის გადაბუგვა გადაუწყვე-
ტიაო.

ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის
პირას დავარდა, და მოფრინდნენ ცის ფრინ-
ველები და აკენკეს ისინი.

მაგრამ მამა იაკობის ხმა ისე სასიამოვნოდ
ისმის, გეგონება მთის წყარო მოჩუხჩუხებს და
იღვრებაო დაუნანებლად.

ზოგიც ქვიან ადგილას დავარდა, სადაც
ბლომად არ იყო მინა, და მალე აღმოცენდა,
ვინაიდან ნიადაგი არ იყო ღრმა

მაგრამ ამოვიდა თუ არა მზე დაჭკნა, და
რადგან ფესვი არ ჰქონდა გახმა.

კიდევ კარგი, ნიავი მაინც იძვრის და
ეკლესიაში დღეს ცოტა ხალხია.

ზოგი კიდევ ეკალბარდებში ჩაცვივდა, და
ამოვიდა ეკალი, და ერთიანად მოაშთო ყველა,
და ვეღარ გამოიღო ნაყოფი.

ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე დაეცა, იზ-
არდა, ნაყოფი გამოიღო და იმატა: ერთი ოც-
დაათად, ერთი სამოცად, თუ ერთი ასად.

ნატო დეიდა გაცრეცილი ფრესკიდან ჩა-
მოსულ ანგელოზს ჰგავს. მამა იაკობი ისე
იღიმება, როგორც კაცი, რომელმაც თავის
საყვარელ ადამიანს მოულოდნელი საჩუქა-
რი უნდა მიუძღვნას და გვეუბნება: ჭეშმარი-

ტად! საოცარი არსება, ბუნების გვირგვინი და არა უპრალო მარცვალია ადამიანი და ჩვენც სულ მუდამ, განსაკუთრებით კი ძნელბედობისას, უნდა გვახსოვდეს ეს. ნატო დეიდა გაფაციცებით მისჩერებია, თითქოს კლასში ყველაზე გულმოდგინე მოწაფეა და არ უნდა რამე გამორჩეს. ამას წინ, მამა იაკობმა პანაწინა ჯვარი აჩუქა და ალერსიანად, მაგრამ მტკიცედ უთხრა: – შვილი შენ კი არ გყავდა, არამედ გყავსო.

ნატო დეიდას ერთი სანთელი წაექცა და, როგორც ჩვილ ბავშვს, ისე მივარდა. აიღო, აანთო და ცდილობს დაამაგროს. თითქოს საგულდაგულოდ გაწმენდილი სარკმელიაო, ისე უკრიალებს თვალები; თითქოს ეჯიბრებიანო, ერთიმეორის მიყოლებით სწყდება და უხმაუროდ ეწვეთება ქვაფენილს მლაშე, შეუშრობელი ცრემლი...

2002 წ.

მინიატურები

ყ ა ჩ ი ა ლ ი

გამოძახებაა. ტრასაზე ავარია მოხდა. ჩვენს მისვლამდე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. სასწრაფო დახმარების მანქანაში უკვე შეუსვენებიათ ორი ცხედარი. ახალგაზრდები. გოგო და ბიჭი. ტაქსი ამობრუნებული ეგდო გზასთან ახლოს. მძღოლი მსუბუქად იყო დაშავებული. ასე რომ, დაკითხვა მოვახერხეთ.

კითხვაზე: რა მოხდა? აღშფოთებული სახით გვიპასუხა: მაყაჩალებდნენ! სარკეში დავინახე, როგორ ეკავა იმ გოგოს ხელში პისტოლეტი. შიშისგან იმწამსვე საჭე გადავკარი. მეტი არაფერი მახსოვს.

მძღოლი დავამშვიდეთ, ჩვენს მანქანაში ჩავსვით და საქმეს შევუდექით. ტაქსის ჩხრეკისას პისტოლეტს და უბის წიგნაკს წავაწყდით.

აი, მისი შინაარსი:

– სალო, შენთან საქმე მაქვს. არ გაგიკვირდეს, ასე რომ მოგმართავ. არ მინდა შოფერმა მოგვისმინოს.

– ნამდვილი შეშლილი ხარ! ყოველთვის ვიცოდი. გისმენ, რა გინდა. უფრო სწორად..

– მე შენ ძალიან მიყვარხარ! დღესვე ცოლად უნდა გამომყვე. თუ უარს მეტყვი, იცოდე, იარაღი მაქვს წამოლებული. ახლავე თავს მოვიკლავ!

– გიუო! მეც მიყვარხარ! ოლონდ ცოლად არ გამოგყვები, თუ შენს იარაღს არ მაჩვენებ.

როგორია? მაინტერესებს.

— სალო, ოღონდ ცოლად გამომყევი და ავრორიდან გასროლინებ. გაჩვენებდი, მაგრამ მე რომ ამოვილო, ტაქსის შოფერმა არაფერი იფიქროს.

— სად გაქვს? მე თვითონ ამოვილებ.

— უბეში, მარცხნივ. იქ, სადაც ყველაზე მეტად მიყვარხარ!..

ტაქსის მძღოლს გადავხედე. მან ისევ აღშფოთებული სახით შემომხედა და მუხლზე ხელის დარტყმით თქვა:

— გოგო და ყაჩალი? სულ გადაირია ეს ხალხიო.

ბედნიერება

ბედნიერებისთვის მეტი რა არის საჭირო? წყალი სულ მაქვს, შავი არ ვარ და ქალები ზედ მასხდებიან. თუმცა, არა მარტო ქალები. უკვე ოთხი თვეა ვითმენ. დარწმუნებული ვარ (თუ სადმე სამართალი არსებობს), ჩვენი პირველი დამამზადებელი ჯოჯოხეთის კანალიზაციაში იხდის სასჯელს. აბა, ეს რა ყოფაა? მართლაც დიდი ნებისყოფა უნდა გქონდეს, რომ ეს ყველაფერი უხმოდ აიტანო.

ოჰო! კარი იღება და გოგო-ბიჭი შემოდის. კარს ჩარაზავენ და წავიდა... ახლა უკვე აღარ მიკვირს. თავიდან კი ძალიან შევშფოთდი. მახსოვს, გაკვირვების ნიშნად, ცოტა წამოვ-

იბუყბუყე. წყვილმა შემომხედა (ჩამხედა), მხ-იარულად გაიცინეს და ისევ თავიანთი საქმე განაგრძეს.

ისე, რა ერთმანეთს ჰგვანან ეს ადამიანები. განსაკუთრებით მთვრალები (აქ რესტორანია და ამიტომ უმეტესობა მთვრალია, ან თვრება). წყვილის შემდეგ ერთი ლიპიანი ბიძა შემოვიდა. დამაჯდა, სიგარეტი ამოილო და მობილურით რეკავს. ოჟოჭო! რა სპილო, რის სპილო, თან როგორც ჩანს მამობრივი გრძნობებიც მოაწვა:

— ალო! სადა ხარ ქალო? ბავშვი გააღვიძე. ლვიძავს? დაუძახე. ვაპ ეგეც? სეკა...

ლიპიანი ბიძა ახალგაზრდა ბიჭმა შეცვალა. თვალები მოხარშული თევზისას მიუგავს. ჩემი დანახვისთანავე, დიდი ხნის უნახავით ჩამეტუტა. ათიოდე წუთი იწვალა, იტანჯა და წავიდა. წასვლის წინ, კალამი ამოილო და კედელზე მიაწერა: ლ + კ = შ კიდევ კარგი, ჩარეცხვა არ დაავიწყდა. ვითომ არაფერიც არ მომხდარა. მერე ფხიზელი შემოვიდა. ცოტა შეიშმუშნა (სუნი არ ესიამოვნა), მაგრამ ძალზედ უჭირდა და აღარ გაბრუნდა. ფხიზელის შემდეგ ოფიციანტი გოგო შემოვიდა. ტანსაცმლიანი დამაჯდა, სიგარეტს მოუკიდა და რაღაც პატარა წიგნი გადაშალა. მერე, ისევ მთვრალი (გამხდარი) შემოვიდა. სარკესთან დადგა (კიდევ კარგი, სარკე არ ვარ), ცოტა ხანს უძრავად იდგა, სერიოზული სახით. მოულოდნელად, სარკეს თვალი ჩაუკრა და გაბადრული გავიდა.

ხუთი წუთის განმავლობაში არავინ შე-
მოსულა. ჩემზე მეტად ვინ იცის მარტოობის
ფასი, მაგრამ ვინ გაცლის! ისევ მთვრალი სპი-
ლო. ცოტაც და შევიშლები. ამჯერად მობი-
ლური აღარ დასჭირდა. პირდაპირ ელაპარაკა
ნაცნობებს, ესიყვარულა. ბოლოს, მაინც იჩხ-
უბა: ვალი რატომ არ მოგაქვს, ხო მაინც აქ
უნდა დავხარჯოთო – უკვირდა!

ისევ მარტოობა ორი წუთით. რა კარ-
გი სიტყვაა მარტოობა! ნეტავ, მისით ყველა
კარგი სიტყვის შეცვლა შეიძლებოდეს. სიყ-
ვარული გინდა აუხსნა გოგოს? ეტყვი: მე შენ
გმარტოობ! კარგი ადამიანი გინდა შეაქო?
ეტყვი: თქვენ ძალიან მარტო ადამიანი ბრძან-
დებით! გინდა გაიფიქრო, რა კარგად ვარო?
გაიფიქრებ: რა მარტო ვარ!

კარი ლამაზმა გოგონამ შემოაღო. დამა-
სკუპდა. თან მობილურით ლაპარაკობს: ქეთი
მე ვარ. როგორ ხარ? ფანტასტიურად. სე-
რიოზულ დროს ვატარებთ. რატო არ წამოხ-
ვედი შე სტარავერო. შენ რო ნიკას ევასები,
დათვრა და შენ დაქალ ანის დაუწყო ჩალიჩი.
მაინც არ გევასება? აუ, მე მაგრად. რა ბეჭები
აქვს! მაგარი ტიპია. ხოდა მაგ შენმა დაქალმა,
ავთული ხო გევასება? ხოდა ნიკა დაიკიდა და
ავთულის ეკურკურება. რასა და ცეკვავენ.

მერე ბიჭი შემოვიდა. კარი გულდასმით
ჩაკეტა. ოთახს მოავლო თვალი და შპრიცი
ამოილო. ნარკომანებს რაღა უნდათ რესტო-
რანში? თუმცა, ვის არ შეხვდები აქ: ნარკო-

მანებს და ქეშებს, შარაფისტებს და ვეგეტარინელებს, ლოთებს და ინტელიგენტებს (ან ორივეს ერთად), ყველა სახის შეყვარებულებს, გულგატებილებს, მწარედ რომ იფურთხებიან, ჰალსტუხიანებს და უჰალსტუხოებს...

ახალგაზრდა ნარკომანმა გაოცებით შემომხედა. შპრიცი ჯიბეში იტაკა და გავარდა. მეკი რაც ძალი და ლონე მქონდა შადრევანივით ვასხამდი. ამომქონდა და ამომქონდა ამდენი ხნის ნათმენი. დამლაგებელი ქალი შემოვარდა წივილ-კივილით, მაგრამ რას გახდებოდა? ეს ჩემი წუთები იყო. არარსებობისაგან განთავისუფლების წუთები...

— ახლა?

ახლა კი, ვგდივარ ამობრუნებული ქალაქის ნაგავსაყრელზე. ფერდი ჩამტვრეული მაქეს. ხანდახან ლეკვები თუ შემოძრებიან და ჭკვიანი თვალებით გაპყურებენ ჩემიდან არეს...

მეტი რა არის საჭირო?

ლამაზი ქალი

სამუშაო დრო იწურება. მაღაზიის თანამშრომლები საუბრით ირთობენ თავს. გარეთ ცუდი ამინდია. ამ დროს ჰატარა, მყუდრო მაღაზიაში ყოფნა სასიამოვნოცაა. გოგოები — ნინო და თეონა ყავას ადულებენ. მუშებს დღის განმავლობაში ტახტზე ჯდომა ეკრძალებათ.



ახლა კი, ორივე ტახტზე ზის. ერთი სიგარეტს ეწევა და როგორც ყოველთვის, ლაპარაკობს. გოგობს მის ოხუნჯობაზე ეცინებათ. ვალერი ჰქვია, იმერელია. გიოს მოწევაზე თავის დანებება სურს და ვალერი სერიოზული სახით ამხნევებს:

— რა უნდა ბიჭო სიგარეტის გადაგდებას. ორმოცდაათჯერ მაინც მექნება თავი დანებებული.

— ვალერ! ის როგორ იყო? — შეეკითხა თეონა, — ლამის ორ საათზე ჩვენ დირექტორს რომ დაურეკე „შევხვდეთო“...

— აპა, გოგო! პატარა ნასვამი ვიყავი. ბადრიკიერ დამპატიუა ბოვშის ნათლობაში და ქე დავლიე ცოტა, ასე, ორი ბოთლი ღვინო. აუ, რა სუფრა იყო.. ხოდა, გარეთ რომ გამევედი, ვიფიქრე ჩემ სიყვარულს დოურეკავთქვა. არ მოვხვდი დირექტორთან?.. ორივეს სახელი ხო მ-ზე იწყება.

— კაცის ხმა რომ გაიგონე, — უთხრა თეონამ, — რა იფიქრე?

— რა და სასიმავროა-თქო.

— აუჰ, სასიდედრო ხომ გიუდება შენზე და... მართლა! შენ სასიდედროს რომ ქალი დაყვება ხოლმე გვერდით, ვინ არის?

— ვინ? ცისფერი თვალები რომ აქვს?

— ჰო, ლამაზი ქალია, — თქვა ნინომ.

— ეგ ადრე იქნებოდა მართლა ლამაზი. ჩემმა შეყვარებულმა მითხრა ტაბლეტებს სვამსო.

— რა ტაბლეტებს? — ერთხმად ჰკითხეს გოგოებმა თან ყავა შემოიტანეს.

— ქმარი ყავს აფხაზეთში დალუპული.

— მერე?

— რა მერე, ვერ უნდა მიხვდეთ? სექსი რომ არ მოუნდეს.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. გიომ მაგი-
დაზე დაგდებული კოლოფიდან სიგარეტი
ამოიღო და მოუკიდა.

— აკი ალარ ვეწევიო? — ლიმილით უთხრა
თეონამ.

2010 წ.

ხორხე ლუის ბორხესი შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი”

ამ პოემას (პომეროსის პოემების მსგავსად), იშვიათი ბედი ხვდა წილად – ის ზეპირად იციან! უცნაური კანონზომიერების მიხედვით მისი ავტორი შოთა რუსთაველთან ერთად ქართველი ერია, თუმცა საქართველო პოემაში საერთოდ არ ფიგურირებს, რადგან გამოცანაში ერთადერთი სიტყვა, რომელიც არ უნდა გამოიყენო, არის ის სიტყვა, რომელიც გამოცანის პასუხია. „ვეფხისტყაოსანი“ დიდი გამოცანა ან პარაბოლაა, სადაც ასეთი პასუხი რამდენიმეა.

„ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი მაგონებს „მეფე ლირის“ დასაწყისს. სამეფოს გადაცემა ქალიშვილზე (შექსპირთან ქალიშვილებზე), იწვევს ქაოსს, ქაოსი კი ახალი კოსმოსით უნდა დასრულდეს და ა.შ. ქაოსის და კოსმოსის ლიმინალური რიტუალი სამყაროს ლაპირინთად აქცევს, რომლის სახე პერიოდულად იცვლება, მაგრამ არის უცვლელი რჩება. წმინდა ავგუსტინე ამ ლაპირინთიდან გამოსავალს ქრისტეში ხედავდა.

ტარიელმა სრულიად შემთხვევით, მოახლის მიერ ფარდაგის გადაწევისას, წამიერად მოჰკრა თვალი წესტან-დარეჯანს და მისი სილამაზისგან გონი დაჰკარგა.¹ როგორც ჩანს, რუსთაველიც შოპენპაუერივით ფიქრობს:

„დიადი ვნება პირველი ნახვიდან იფეთქებს ხოლმე“.

რუსთაველი ვირტუოზულად იყენებს „ოქროს კვეთის“ პრინციპს, ხანდახან ვირტუ-ოზულად არღვევს რა, მის მკაცრ სიმეტრი-ულობას.² მკაცრად გეომეტრიული და მექა-ნიკური სტილი ნიშანდობლივია ნიუტონის სამყაროსთვის, და მკვეთრად უარყოფილია უილიამ ბლეიკის მიერ, – უარყოფილი მეტის-მეტი სისწორის და მოძრაობის რაციონალ-იზაციის დამთრგუნველობის გამო. ასეთი სამყაროს ღმერთი იყო Nobodaddy,³ ხოლო საზოგადოებას ამ სამყაროში მხოლოდ „კანო-ნით შექმნილი ბორკილების“ შეთავაზება შეე-ძლო. ნიუტონის სამყაროს მექანიკურობას ბლეიკი უპირისპირებს პარადოქსის და ინვერ-სიის ლირიზმს. ლექსში „ვეფხვი“ ის ირონი-ულად კითხულობს:

What immortal hand or eye
Could frame thy fearful symmetry?⁴

„შემზარავ სიმეტრიას“, დაფუძნებულს პერიოდულ გამეორებაზე, რუსთაველი და ბლეიკი უპირისპირდებიან თავისუფლების და მოძრაობის სასარგებლოდ. ამიტომ „ვეფხ-ისტყაოსანში“ ყველაფერი ერთხელ ხდება და ყველაფერს სხვანაირი ნამდვილობა გააჩნია.

მორის აბრამოვიცის შენიშვნით, პოემის კითხვისას იბადება შეგრძნება, რომ მოქ-

მედების ადგილი მთელი სამყაროა. რუსთაველი მოქმედ პირებად თვლის არა მხოლოდ კონკრეტულ ადამიანებს, არამედ მზეს, მთვარეს და პლანეტებს.

რუსთაველის უნივერსუმი გეოცენტრული სისტემაა, რომელიც ჰელიოცენტრულობისკენ ისწრაფვის. ცის თაღზე გაჩენილი ბზარი რუსთაველისათვის თავისუფლება იყო. გაივლის წლები და ბლეზ პასკალისთვის ის შემაძრნუნებელ სფეროდ იქცევა.

მზე – მთავარი მეტაფორაა რუსთაველთან. პერსონაჟები მისკენ ისწრაფვიან, მას ეტრფიან და მისი გულისთვის ყველაფერს სჩადიან, მკვლელობასაც კი! (ეს ყველაფერი თანამედროვე ადამიანისთვის ძალიან უცხოა).

ადრე ნებისმიერი წამონყება წარმატებულად მთავრდებოდა. ერთი გმირი მოიპოვებდა ოქროს ვაშლებს, სხვას გრაალის მოპოვება ხვდებოდა წილად. ახლა ძიებანი ჩავარდნისთვის განწირულია. კაპიტანი აქაბი დაჭრის ვეშაპს, მაგრამ ვეშაპი მაინც ანადგურებს მას; ჯეიმსის და კაფუას გმირებს მხოლოდ მარცხი თუ ელოდება. ჩვენ ისე ღარიბნი ვართ შემართებით და რწმენით, რომ ბედნიერ ფინალში მასების გემოვნების უხეშად შეთხზულ წაქეზებას ვხედავთ.

დასასრულს, მინდა გავიხსენო, რომ ჩემ მეგობარს, რაფაელ კანსინოს-ასენსს ბუენოს-აირესში მოღვაწე რუსთველოლოგმა გაუმხილა ამ პოემის ორი საიდუმლო ვერსია,

თუ გაგრძელება:

ქორწილის დამთავრების შემდეგ ტარიელი სანთიობოში შევიდა. ზღურბლზე გადაბიჯებისას უცებ ორი დურგალი და მათი ორი სამეფო გაახსენდა, მაგრამ ბუნდოვან ხატებას აღარ ჩაუღრმავდა..

სიზმარში მამლის ყივილმა გამოაღვიძა. ჯერ კიდევ ძალიან ბნელოდა. მხოლოდ ერთგან, დასალიერზე, თითქოს ოდნავ გაბაცდა ცა. რქის კარი გააღო. გარეთ გამოსულმა, სიცივე იგრძნო, მაგრამ სამოსისთვის მაინც არ მიბრუნდა. ერთთავად მარცხნივ უხვევდა, მხოლოდ ბოლო გზაჯვეარედინზე შეუხვია მარჯვნივ. ბაღში შევიდა და მცირე ზომის ტბასთან ლოდზე ჩამოჯდა. განთიადმა ვარდისფერი თითები გამოაჩინა. ტარიელი დუმდა, ისე, როგორც მზის ჩასვლისას დუმან ხოლმე ძალიან დაღლილები. უნდოდა ეთქვა: ის მოკლული სასიძო მე ვარო, მაგრამ ეს გაიფიქრა, და წარმოთქვა: მე შენ ვარ!

დუმილმა, რომლის სიღრმე სარკის სიღრმეზე მეტია, აუწყა, რომ მისი ამბავი, ხელიხელსაგოგმანები და მრავალ გასაჭირში ძალის მომცემი იქნებოდა პოემაში არნახსენები ქვეყნისთვის, მაგრამ ვერავინ ვერასდროს გაიგებს, თუ რა გაუყუჩებელია მისი ტკივილი და სინდისის ქენჯნა...

მეორე ვერსია უბრალოდ წარმოუდგენელია ქართველებისთვის და შესაძლოა, მთლიანად დასავლეთისთვის: ამისათვის საჭიროა

უფრო ძველი, დახვეწილი და დაღლილი სამყარო. ტარიელი უკვე აღარაა ტარიელი, არამედ მაკბეტია! დუნკანის გვამთან ის მიხვდა, რომ მკვლელობა და ჩასახვა ლვთაებრივი, ან ჯადოსნური ბუნების საქმეა და ადამიანის შესაძლებლობას აღემატება. მიხვდა, რომ მოკლულიც ისეთივე ილუზიაა, როგორც სისხლიანი ხანჯალი, მის ხელს რომ ამძიმებს, როგორც ის თავად და მისი წარსული ცხოვრება, და ყველგანმყოფი ღმერთები და მათ მიერ შექმნილი სამყარო...⁵

1. მსგავსი მოტივი გვხვდება რ. აკუტაგავას „უსიერ ტყეში“, მაგრამ რუსთაველთან ის მაინც სხვა, მისტიკური ხასიათის მომენტია: „გულშან-ი-რაზ“-ის ერთ-ერთი კომენტატორი ამტკიცებს, რომ: „ზაჰირი არის ვარდის ჩრდილი და რიდის გაფხრენა“ და ვინც ზაჰირი იხილა, მალე ის ვარდს იხილავს, ვარდს, რომელიც ყოველგვარი „რატომ“-ის გარეშე ჰყვავის.
2. სიმეტრიული აზროვნების სხვა ასპექტი ვლინდება „ჰამლეტის“ შურისძიების თემაში.
3. არავის მამა, „მამაო ჩვენოს“ ანტითეზა.
4. თუ არ უკვდავი,
ვინ ჩახედავს შენს მწარე თვალებს,
ამ შემზარავი სიმეტრიის
ვინ არს შემქმნელი?
ბლეიკის ცნობილ სტრიქონებში, ვეფხვი

ესაა – მოგიზგიზე ცეცხლი და ბოროტების წარუვალი არქეტიპი. მე უფრო ვეთანხმები რუსთაველს, რომელიც მასში დახვენილი ძლიერების სიმბოლოს ხედავს. და მაინც, არ არსებობს აბსოლუტურად ზუსტი სიტყვები, წარმოდგენას რომ გვიქმნიდეს ვეფხვზე, ამ ხატებაზე, მუდამ რომ ალელვებდა ადამიანის წარმოსახვას (არ შემიძლია მკითხველს არ შევახსენო იუან მეის იგავი „მორჩილი ოცნებობს ვეფხვზე“).

5. მეორე ვერსია პრინციპულად არ მოწონს რაფაელს, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ქართული ენა, რათა „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალში წაეკითხა და აცხადებს, რომ ეს პოემა სინამდვილეში სინათლის მისტერიაა, ხოლო მოქმედება მაკროკოსმოსთან ერთად თვითობის თეატრშიც მიმდინარეობს.

აზრები

ჩვენ, გვიყვარს წარსულის გალამაზე-ბა (უფრო სწორად, დამახინჯება). მომავლის (რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნის) იმედად ყოფ-ნა. და ჩვენ არ გვიყვარს (უფრო ზუსტად, არ ძალგვიძს) ანმყოსთვის თვალის გასწორება, ანმყოსი, რომელიც თვალში გვეჩირება, რო-მელიც სულ მაღე, იქცევა ლამაზ წარსულად და რომელიც ოდესლაც ჩვენი იმედი, ჩვენი ოცნებაც იყო!

* * *

სიყვარული ეგოისტური გრძნობაა, რომე-ლიც გვავიწყებინებს საკუთარ თავს.

* * *

ვისაც ბავშვობა არ განუცდია.. მხოლოდ მათი ხვედრია დიადი, მგზნებარე სიყვარული. რადგან მხოლოდ სიყვარულს ძალუძს მათი დაბრუნება ამ დაკარგულ სამოთხეში, რომე-ლიც არც ჰქონიათ და არც აღარასოდეს მიე-ცემათ.

* * *

ნამდვილი ურწმუნოება ორ რწმენას – თეიზმსა და ათეიზმს შორის მერყეობს.

* * *

ჩვენი „მე“ იმდენად ყალბია, რომ მას მხო-

ლოდ სიკვდილი თუ ჰმატებს დამაჯერებლობას.

* * *

წარლვნა რომ განმეორდეს, ახალ ნოეს ფაქტიზი გრძნობების უცნაურ კიდობანს ააგებინებდა ღმერთი.

* * *

ჩვენ დიახაც შეგვიძლია ეკლიანი გზის გავლით, ვარსკვლავებამდე ავათრიოთ ჩვენი უბადრუკი თავი.

* * *

სიცილის ოთახი

ადამიანები (მეგობრები, მოწინააღმდეგენი, ნაცნობები, უცნობები), სინამდვილეში იმ უცნაურ სარკეებს წარმოადგენენ, რომლებიც ჩვენსავე გაბერილ, გროტესკულ, დაპატარავებულ ან ჰიპერტოფირებულ და ხშირად ვერარსებულ, მაგრამ წარმტაც „მე“-ს ირეკლავენ ხოლმე.

* * *

ბრიყვები და პატარა ადამიანები, როგორც თევზი წყალში, ისე გრძნობენ თავს ამ ქვეყნად.

გენიოსები და დიდი ადამიანები ღმერთებივით
დააპიჯებენ დედამიწაზე.

მხოლოდ ღმერთმა შეძლო ეცხოვრა ადა-
მიანურად.

* * *

ბოროტება არასოდესაა უადგილო. ის შეი-
ძლება იყოს მოულოდნელი, შემზარავი, აღმაშ-
ფოთებელი, მაგრამ როგორც კი გამოვლინდე-
ბა, მაშინვე იბრუნებს თავის ბუნებრივ იერს
და გასაგები ხდება.

სამაგიეროდ, არსებობს უ ა დ გ ი ლ ო
სიკეთე, ზედმეტი თავაზიანობა, გაუგებარი
სიყვარული და ა.შ.

* * *

მე ვარ მთავარი მოქმედი პირი ჩემი ცხ-
ოვრების გაუგებარი სპექტაკლისა. მთავარი
და თან სრულიად ზედმეტი პირი.

* * *

ადამიანი რომ დადუმდეს, მაშინ მის მა-
გივრად მისი საქმენი დაიწყებდნენ ღალადს.
ამიტომ, ის იძულებულია იყვიროს, რათა
გადაფაროს მათი ხარხარი.

* * *

ორი ფილოსოფოსი ქუჩაში იდგა და

მაღალ მატერიებზე გაცხარებით ეკამათებოდნენ ერთმანეთს. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მათი კამათი, რომ არ ჩამოევლო გამომწვევად ჩაცმულ ლამაზ ქალს..

* * *

კაცს თავისი ცხოვრება ჰეგონია წრის კვადრატურა, რომელსაც არც აზრი აქვს და არც ამონახსნი. სინამდვილეში კი, ის გავს უბრალო არითმეტიკულ განტოლებას, რომლის პასუხიც მოცემულია სახელმძღვანელოს ბოლოში.

* * *

ადამიანი ყველაზე გულწრფელად „იქცევა“ მაშინ, როდესაც ძინავს.

და ამ ძილს არ ახლავს სიზმრები.

* * *

ყურები ის მუდამ ლია კარია, სადაც ვერა-სოდეს შევა ჭეშმარიტება.

* * *

იობი არ დატანჯულა ურწმუნებით!

* * *

ჭეშმარიტება წ ა მ ი ე რ ი ა ! ფიფქი, დაცემისთანავე რომ ადნება ხელისგულს, ელვა, ქარიშხლიან ლამით გაკრული ასანთის ლერი,

უკანასკნელი წამი ერთადერთი სიცოცხლისა..

* * *

ჩვენ არ ვატარებთ ნიღბებს, ნიღბები გვა-
ტარებენ ჩვენ!

* * *

ლიტერატურა ქალია! არ მისცე მას ყვე-
ლაფერი, ნიშნავს არაფერიც არ მისცე.

* * *

აბსურდი იწყება ბედნიერებიდან!

1998 – 2000

جعج

ხორხე ლუი ბორხესი – პორტრეტი სარკის ნამსხვრევებში

ს ა რ კ ე ე ბ ი

ლაბირინთის შესაქმნელად ხომ საკმარისია,
ორი სარკე ერთიმეორის პირდაპირ დავდგათ.

ხ. ლ. ბორხესი

სარკის ბუნების შესახებ ღრმა განაზ-
რებების ტრადიცია პლატონიდან იწყება. ის
ცდილობდა სარკით შექმნილი ილუზიების
განქიქებას, მიაკუთვნებდა რა მას სამყაროს
შემეცნების უდაბლეს საფეხურს. მიუხედავად
ამისა, პლატონი თვლიდა, რომ ანარეკლე-
ბი, გრძნობადის ალემისგან გათავისუფლები-
სკენ მოუწოდებს გონებას. მსგავსად მოფე-
ნილი ჩრდილებისა, გონიერ ადამიანს რომ
გამოქვაბულიდან გასვლისთვის აღძრავს,
ანარეკლებიც რაღაც ნიშანს წარმოადგენს და
აიძულებს ადამიანს ნიშნის ბუნება უფრო ღრ-
მად გაიაზროს.

გრძნობად სამყაროს პლატონი განიხ-
ილავს, როგორც სარკის ანარეკლს, უფრო
სწორად, როგორც მარადიულ ფორმათა
ანარეკლებს, ხოლო სხეული პლატონთან არის
სულის ანარეკლი, რომელიც ჩნდება მაშინ,
როცა სული მატერიას ეზიარება. ადამიანი არ
უნდა დანებდეს ხილულის ხიბლს და თვითშე-

მეცნების წყალობით, ხილულიდან სულის შემცნებამდე ამაღლდეს. ადამიანი, როგორც ამტკიცებდა პლატონი, უნდა ზრუნავდეს საკუთარ სულზე, მაგრამ სულს მსგავსად თვალისა, არ შეუძლია თავისი თავისი დანახვა. დიალოგში „პირველი ალკიბიადე“ სოკრატე და ალკიბიადე ერთმანეთისთვის წარმოადგენენ ცოცხალ სარკეებს, მეგობრებს, რომელთა თვალებში და სულებში სარკისებურად აირეკლება შეცვლის, უკეთეს ადამიანად ქცევის სურვილი. წარცისის უბედურება მდგომარეობდა იმაში, რომ მან თვითშემცნების ყველაზე უარესი ფორმა აირჩია და დაისავა ნემეზიდას მიერ, რადგან უარყო ნიმუშა ექოს სიყვარული, ანუ უარი თქვა თავისი პიროვნების ჩამოყალიბებაში სხვის მედიაციაზე.

თუ სოკრატესა და პლატონთან სარკე თვითობის (auto to auto) „აღმშენებლობის“ ინსტრუმენტი იყო, ხოლო სახარებაში ცოდნა, თითქოს სარკეში არეკლილი, აღნიშნავს გადასვლას არასრულყოფილი ხედვიდან „პირისპირ ხილვამდე“ (I კორ. XIII, 12), ბორხესთან სარკე შიშის მომგვრელი ფენომენია. სარკე თანამედროვე სამყაროს მეტაფორაცაა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც საშუალოობის, მიმპარველობის და დავიწყების სამყარო. „სხვა მხარე“ კი არის მხოლოდ პაროდია, ილუზორული საცხოვრებელი, მსგავსი იმისა, რასაც მიწიერი ცხოვრება ეწოდება. ბორხესისთვის შემზარავია სარკეები და მამობა,

რადგან ისინი აორმაგებენ, განავრცობენ იმ ლაპირინთს, რომლის ცენტრში (თუ მას აქვს საერთოდ ცენტრი!) მოთავსებული ადამიანი აღმოჩნდება სულ უფრო მეტად დაშორებული საეჭვო, ან სულაც არარსებული გასასვლელ-ისგან.

ლ ა ბ ი რ ი ნ თ ი

...და ლაპირინთი, ადამთან ერთად დაწყებული.

ხ. ლ. ბორხესი „ძეს“

ერთი მხრივ, საგანთა მსგავსება, არასოდეს არის ისე დიდი, როგორც მეორე მხრივ, სხვაობა მათ შორის – წერდა მონტენი „ეს-ეებში“ (III, 13). ამავე პასაუში მონტენი იმოწმებს ციცერონს (აკადემიური საკითხები (II, 18): დელფოსში იყო ერთი ადამიანი, რომელიც ამჩნევდა განსხვავებას კვერცხებს შორის და შეეძლო გამოეცნო, რომელი კვერცხი რომელი ქათმის დადებული იყო.

დეტალებზე ნადირობის მანია, უსასრულო დიფერენციაცია, ქმნის ლაპირინთის სივრცეს. რობერტ ბერტონის „მელანქოლიის ანატომიაში“ ის მელანქოლიის ძირითადი ტოპოსია¹. ლაპირინთს, რომელიც მალავს, ან ანადგურებს თავის გეგმას, აღარ ძალუდს ცოდნის რეპრეზანტაცია, რადგან ის ანალოგიათა

მიკრო-მაკროკოსმიური სისტემიდან ამოვარდნილია. ლაბირინთი ბორჩესთან ნეგატიური ენციკლოპედია.

ე ნ ა

ჩემი ენის საზღვრები,
შეადგენს ჩემი სამყაროს საზღვრებს.

ლ. ვიტგენშტაინი

დიალოგში „კრატილე“ პლატონი ამბობს, რომ თუ „სახელმდებელი თავშივე შეცდა, ეს, რა თქმა უნდა აიძულებდა მას შემცდარიყო შემდეგშიც.. სწორედ ასევე, გეომეტრიული ფიგურების ხაზებისას, საკმარისია სულ მცირე უზუსტობა, მცირე შეცდომა და ამ შეცდომაზე აიგება ყველა დანარჩენი“. თუმცა, ენაში სრული თანხმობის მიღწევა შეუძლებელია. ენაში არსებული წინააღმდეგობანი გვაიძულებს, საგანთა შესაცნობად და მისაგნებად სახელებიდან კი არ გამოვიდეთ, არამედ, თვით საგნებიდან. ბორჩესი ციტირებს ტენისონს: „თუ ჩვენ შევძლებდით იმის გაგებას, რა არის თუნდაც ერთი ყვავილი, გავიგებდით ვინ ვართ და რას წარმოადგენს სამყარო“.

პლატონის „კრატილეს“ გავლენით (სადაც პლატონს სახელთა კონვენციონალური თეორიის დასაცავად მაგალითად მოჰყავს სიტყვე-

ბი, რომლებიც გამოხატავენ არა საგანს, არა-ამედ მოქმედების დასაწყისს ან რეზულტატს) მოთხოვთ ამ „ტლონი..“ ბორხესი ჩვეულებრივი აღნიშვნის მაგივრად, გამოსახავს მხოლოდ დროის ნაკადებს: „სიტყვა „მთვარე“ არ არსებობს, არის მხოლოდ ზმნა „გამთვარება“.

ბორხესი თავგანწირვით ცდილობს სიტყვიერების ფენის გარღვევას ყოფიერებისკენ, მაგრამ ყოფიერება დამტკინავად უმუღავნებს მას თავის ტექსტუალურ არსა. სიტყვები-სგან სამყაროს შექმნით, შექმნას საკუთარი თავი, როგორც პიროვნება – ასეთია ბორხესის ლიტერატურული პროგრამის პათოსი, მისი ნარცისიზმის ფილოსოფიური ფესვები. ბორხესის ლიტერატურული ცდები, ენათესავება მისტიური ტრადიციების ჰალუცინაციურ ხილვებს. მისი პროზის ვერსიფიკაცია შეიძლება შედარებულ იქნას მაგიურ შელოცვასთან. გრძელი ჩამოთვლები, ციკლურობა, უცნაურ სახელთა დაშრევება – აი, მწერლის „შამანური დოლი“.

ლაპირინთი! ეს ხატება მართლაც ატარებს ენის ფილოსოფიის მთავარ იდეას. ასეთ მე-ანდრებში საყრდენი წერტილების გარეშე ხეტიალში, ასეთ სასოებადაკარგულ დაღლილობაში, საკუთარი თავის მოპოვების ნაცვლად, იკარგება სუბიექტის პირადი რეალობა. თავისი შემოქმედებით, ბორხესი, თითქოს ანთროპოლოგიის დასასრულს აღნიშნავს².

„ს ა მ ხ რ ე თ ი“

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება წამი,
როდესაც ის სამუდამოდ შეიმეცნებს
საკუთარ თავს.

ხ. ლ. ბორხესი

ამ მოთხრობაში მოქმედება მიმდინარეობს მთავარი პერსონაჟის, მომაკვდავი ოპანეს დალმანის ცნობიერებაში, სადაც სცენა, მსახიობები და მაყურებელი თავად დალმანია. ამიტომ, ასე შემზარავია სცენა, როდესაც მას უცნობი ადამიანი სახელით მიმართავს. მსგავს პასაჟს ვხვდებით კაფეას „პროცესში“. კონტრასტული თხრობა, ცნობიერებაში მიმდინარე ცნობა-ვერცნობის ნაკადი ბოლოს კაიროსით მთავრდება. ბორხესთან კაიროსი ცხოვრების ბოლო წამს ნიშნავს, ოღონდ ისეთის, როცა ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, მისი ცხოვრების ყველაზე მთავარი მოვლენა, უდიდესი ძალისხმევის ფასად შეცვალოს. მომავლის წარსულად ქცევის³ საპირისპიროდ წარსულის მომავლად ქცევა, „კაიროსის“ ბორხესისეული გაგება⁴.

„ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ს ბ ი ბ ლ ო თ ე კ ა“

გონიერების თვისებებს შორის,
საშინელებათა გამოგონებაცაა.

ბორბესი „მსოფლიო ბიბლიოთეკა“

უმბერტო ეკო, ამ მოთხრობის „დონ კიხტათან“ მოულოდნელი შედარებით, ძლიერ ეფექტს აღნიშვნა: „დონ კიხოტის ბიბლიოთეკიდან რომლის თაროებზეც მხოლოდ სარაინდო რომანები ინახებოდა, შესაძლებელი იყო გამოსვლა. სამას ორმოცდაათი წლის შემდეგ, ბორბესი მოგვიყვება ისეთ ბიბლიოთეკაზე, საიდანაც გამოსვლა შეუძლებელია და სადაც ჭეშმარიტი სიტყვის ძიება უსასრულო და უიმედოა⁵.

ამ ორ ბიბლიოთეკას შორის სიღრმისეული კავშირი არსებობს: დონ კიხოტმა ირწმუნა, რომ სამყარო მისი ბიბლიოთეკის მსგავსია. ნაკლებად იდეალისტმა ბორბესმა კი გადაწყვიტა, რომ მისი ბიბლიოთეკა სამყაროს მსგავსია. ამიტომ ის, ბიბლიოთეკიდან გამოსვლის აზრს და აუცილებლობას ვერ ხედავდა. როგორც არ შეიძლება ასე თქმა: გააჩერეთ სამყარო, ჩავდივარ! ასევე არ შეიძლება გამოსვლა ბორბესის ბიბლიოთეკიდან.

ბორბესი არჩევანის წინაშე იდგა: ან მთელი ცხოვრება ღმერთის საიდუმლო ენის ძიებისთვის მიეძღვნა, ან ქება შეესხა ცოდ-

ნის სამყაროსთვის, როგორც ატომთა ცეკვისთვის, რათა შეექმნა არა მარტო ის, რაც იყო რაც არის, არამედ ისიც, რაც იქნება და შესაძლოა, ზუსტად ეს არის ბაბილონის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკრების ამოცანა. ასეთ შემთხვევაში, ბიბლიოთეკის უსასრულობის და ყოვლისმომცველობის პრობლემა მეორადი ხდება. ბაბილონის ბიბლიოთეკის ნამდვილი გმირი არა ბიბლიოთეკა, არამედ მისი მკითხველია, ახალი დონ კიხოტი, მოძრავი, თავგადასავლების მოყვარული, დაუცხრომელი გამომგონებელი, ალქიმიკოსი-კომპინატორი და ქარის წისქვილების მოთვიზუერების შემძლე“.

მარადისობა

მარადისობა, რისი დამსხვრეული
ანარეკლებიც არის დრო.

ბორჩესი „მარადისობის ისტორია“

ბორჩესის თითქმის ყველა ნაწარმოებში დევს ირონიით შერბილებული მცდელობა, ამ მოუხელთებელი მარადისობის (უსასრულობის) ჩამოთვლით ამონურვისა. ბორჩესისთვის მარადისობა მუდამ ახალია. მარადისობა არჩევანის შესაძლებლობის და მასზე პასუხისმგებლობის გარეშე, მარადისობა რომელშიც უკვე ყველაფერი სამუდამოდ იყო, ესაა ტოტა-

ლური ბიბლიოთეკის კოშმარი (ხოლო „ბაბილონის ლატარეა“ უსაშველობის სიმბოლოს მეორე მხარეა).

ბორხესი ეჭვქვეშ აყენებს რეალობისადამი ზედაპირულ მიდგომას, ერთი სამყაროდან მეორეში, როგორც ოთახიდან ოთახში გასვლას. ასეთია დანერის გრანდიოზული და უტოპიური ჩანაფიქრი („ალეფი“), მისი გარითმული ენციკლოპედიით. შესაძლოა, ასეთივეა ფუნესი („ფუნესი, მეხსიერების სასწაული“).

„სამყაროს სჭირდება მარადისობა“. ღვთისმეტყველებმა კარგად იციან, რომ თუ ღმერთი თუნდაც წამით უყურადღებოდ დატოვებს ჩემ ხელს, ეს სტრიქონები რომ გამოჰყავს, ის არარად იქცევა, თითქოსდა ბნელი ცეცხლით შთანთქმული. ამიტომაც, ისინი ამბობენ, რომ ზმნები „ყოფნა“ და „ქმნადობა“ ასე დაპირისპირებულნი აქ, ზეცაში ერთი და იგივეა.

უ ს ა ს რ უ ლ ო ბ ა

თუ არსებობს უსასრულობა,
ყოველგვარი განაზრება ამაოა.

პოლ ვალერი „წერილი მეგობარს“

ბორხესთან გვხვდება უსასრულობის რამდენიმე გაგება. ერთი ესაა ხაზის უსასრუ-

ლობა⁶, უსასრულობა აქ მიუღწევლობის სინონიმია. მეორე ესაა წრე („ორი მეფე და ორი ლაბირინთი“, „ნანგრევთა წრე“ და სხვ.), რაც გამოუვალი მდგომარეობის, უსაშველობის სინონიმია. უსასრულობის კიდევ ერთი ვარიანტი გახლავთ ჩაკეტილი სივრცე, რომელიც სხვა, ასევე ჩაკეტილი სივრცის ნაწილია, მეორე სივრცეც ნაწილია მესამის და ა.შ. („მოთხრობა მოთხრობაში“). ასეთია უფსკრულის უსასრულობა, Mise en abime.⁷ ყველა ეს გაგება, ბორხესთან წარმოდგენილია როგორც ლაბირინთი. მაგრამ, ბორხესთან აგრეთვე არის გარდასახული სამყაროს უსასრულობა, სიმბოლური⁸ პლანი – ეს გახლავთ ლიტერატურის უსასრულობა. უსასრულობაზე, როგორც თვითკმარობაზე ბორხესი საუბრობს „ცხრა ნარკვევში დანტეს შესახებ“, სადაც მას ბეატრიჩე ენოდება.

„უ კ ვ დ ა ვ ი“

უსასოდ ყოფას, სჯობს ყოფა მკვდარად.

ალ. ჭავჭავაძე

რონალდ ქრისტი ამ მოთხრობაში აღმოაჩენს კონრადიანულ-ელიოტისებურ მოგზაურობას სიმბოლურ წყვდიადის გულში. ბორხესის მიერ შექმნილ ფანტასმაგორიათა შორის, უკვდავთა ქალაქი ყველაზე შემზავია. ტრიბუნი რუფო დაასკვნის, რომ „ეს ქა-

ლაქი შემზარავია. ისე შემზარავია, რომ თვით მისი არსებობა, თუნდაც საიდუმლო უდაბნოს შუაგულში, წამლავს წარსულსა და მომავალს და რაღაცით ცის მნათობებსაც ემუქრება.“

ამერიკელი ლიტერატურისმცოდნე ჰაროლდ ბლუმი შენიშნავს: „სიტყვა-გასაღები აქ არის „წამლავს“ და ძირითადი გრძნობა „უკვდავში“ ესაა ინფიცირების შიში. როცა ჰომეროსი თავს ამჟღავნებს, ის მუნჯი, უბადრუკი ტროგლოდიტია, ხოლო უკვდავების სასურველი მდინარე, მხოლოდ მღვრიე დინება“.

ტრიბუნი რუფოს გზა სიკვდილისკენ, მოკვდავობის მიღებას, ბორხესი ამზადებს არგუსის (ბებერი მომაკვდავი ძალლი „ოდისეადან“) ხსენებით. თუმცა, თუ ჰომეროსთან სიკვდილის წამი ემთხვევა ანაგნორისს და ცნობით გამოწვეულ სიხარულს, ბორხესთან სიხარულს მოკვდავობის დაბრუნება იწვევს.

სიმეტრიები

მან თავის თავში ჩაკლა მარიონეტი.

პოლ ვალერი „სალამო ბატონ ტესტთან“

ამერიკელი მკვლევარი ჯ. ფეიენი აღნიშნავს: ერთ რომელიმე პუნქტზე დაძაბული კონცენტრირება, ხშირად კომიკურ პერსონაჟთა არსს წარმოადგენს. ლორენს სტერნი თავის

რომანში „ტრისტრამ შენდი“ ორ ექსცენტრიკულ პერსონაჟს გვაცნობს. ძია ტობი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ცდილობს გაარკვიოს, სახელდობრ სად დაიჭრა ნამიურის შტურმისას და ის დაუსრულებლად აგებს ნამიურის ციხესიმაგრის მოდელს. უოლტერ შენდის სწყურია განსაკუთრებული პროგრამის „ტრისტრაპედიის“ შექმნა, რომლის მიხედვითაც იხელმძღვანელებდა საკუთარი ძის აღზრდისას. მაგრამ, ამ პროგრამის შექმნა დროში ვერ ეწევა ტრისტრამ შენდის ზრდას. ა. ბერგსონი („სიცილი“) შენიშნავს, რომ ორივე, ძია ტობი და უოლტერ შენდი მექანიკურ ტიპებს მიეკუთვნებიან. ორივე დაეძებს სიმეტრიას, რადგან სურთ რომ დრო ზუსტად შეესაბამებოდეს მათ მიერ წინასწარ მოხაზულ სქემებს. ესწრაფიან რა რეალობის მართვის გასაღებს, ისინი უსასრულოდ მეორდებიან. წარსულისკენ მიმართული კონცენტრირება ითხოვს, რომ აწმყო წარსულის სიმეტრიული იყოს. მომავლისკენ მიმართული კი, მომავლის აწმყოსადმი სიმეტრიულობას ითხოვს. ასეთი ახირება თავის თავში გულისხმობს იმას, რომ გარკვეულ ქმედებებს დროსა და სივრცეში შეუძლია ისეთ კონფიგურაციებამდე მიგვიყვანოს, მატერიამ ან გონებამ ოდესლაც რომ უკვე მიიღო.

აზროვნების სიმეტრიულობა ბორჩესის პერსონაჟებიდან ისეთ პერსონაჟებს ახასიათებს, სამაგიეროს გადახდის სურვილი რომ ამოძრავებთ.

„განშტოებულ ბილიკთა ბალი“

დანტეს ჯოჯოხეთი სამოთხეში იწყება.

პოლ კლოდელი

ბალი – უძველესი თემა ადამიანის შემოქმედებაში, ისეთივე მეტამორფოზებს განიცდის, როგორც თავად ადამიანი. ბალს აქვს რაღაც ზედროული თვისება სულიერი მისტერიების პროვოცირებისა. სახარებისეული ცოდვათა გამოსყიდვა იწყება და მთავრდება ბალში. ცაო სიუეცინის (XVIII ს. ჩინელი ავტორი ბორხესის ამ მოთხრობის ერთ-ერთი ინსპირატორია) და ბორხესის ბალებს შორის ის ძირითადი განსხვავებაა, რომ პირველი განასახიერებს კოსმოსს, მეორე კი ქაოსს. ამიტომაცაა „გაუყუჩებელი ტკივილი და დაქანცულობა“.

კლასიფიკაცია

მე არ ვენდობი ისეთ შემეცნებას,
რომელსაც საფუძვლად უდევს არა აზრი,
არამედ მხოლოდ კლასიფიკის კომფორტულობა.

ბორხესი „რეალობის ერთ-ერთი ბოლო ვერსია“

ბორხესის ტექსტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბორხესი თავს არიდებს სამ-

ყაროს სახელმდებელი ადამის პოზას.

ეს კაბალისტების სანუკვარი ოცნება იყო: სასრული რაოდენობის ასოების უსასრულობამდე კომბინირებით, ისინი იმედოვნებდნენ, რომ ერთხელაც ღმერთის ჭეშმარიტ სახელს აღმოაჩენდნენ. XVII ს-ის მოაზროვნეები ასევე იმედოვნებდნენ, გარდა ღმერთის სახელისა, სახელი მოექებნათ სამყაროში თითოეული ინდივიდუმისთვის და ამგვარად აეცილებინათ ენათა აღრევის შემდგომი წყევლა, რომელიც ცალკეული ცნებების ზოგადით აღნერას გვავალდებულებს.

ჯ. ლოკის აზრით, ენა, რომელიც მხოლოდ საკუთარი სახელებისგან შედგება და მხოლოდ განსხვავებებს აღნიშნავს, ვერ შეასრულებს ენის ზოგად ამოცანას: ის არ იქნება ხელის-შემწყობი შემეცნებისა და კომუნიკაციისთვის. განსაკუთრებულ ენაზე მოსაუბრე სოლიფ-სისტი ხდება, მას მხოლოდ ავტოკომუნიკაცია შეეძლება („ფუნესი, მეხსიერების სასწაული“).

აი დასკვნა, რაც ბორხესმა კლასიფიკაციათა უსაფუძვლობაზე გააკეთა: „ჩვენ არ ვიცით, რა არის სამყარო“. და იქვე ამატებს: „სამყაროს ღვთაებრივი სქემის წვდომის შეუძლებლობამ, არ უნდა დაგვიკარგოს ჩვენი, ადამიანური სქემების შექმნის ხალისი“.

განდევნილნი

ჭეშმარიტება ერესად იბადება
და ცრურწმენად კვდება.

გ.ფ. ჰეგელი

კიდევ ერთი წამყვანი თემა ბორხესთან – არალიარებული ტრადიციები, კლასიკური ფილოსოფიიდან გაძევებული მარგინალები. ეს-ენი არიან: ადრეული ქრისტიანობის ეპოქის გნოსტიკოსები⁹ და ახალი დროის მისტიკოსები, როზენკრეიცერები და ფრანკმასონები, უნივერსალური ენის შემქმნელები და მეოთხე განზომილების აღმომჩენები, ერეტიკოსები და მედიუმები.

ბორხესი, თითქოს მისთვისვე დამახასიათ-ებელი შტრიხებით გამოსახავს ერესიარქ და თვითმარქვია ჰაქიმს,¹⁰ რომლის ხელობაშიც (მღებავი) იუდა იშიფრება და დაუნდობელი აღსასრულისთვის იმეტებს მას.

ისტორია

კლეოპატრას ცხვირი რომ სხვანაირი ყოფილიყო,
მსოფლიო ისტორიაც სხვანაირი იქნებოდა.

ბლეზ პასკალი

ბორხესი ირონიულად უყურებდა ნაციო-

ნალურ ფანატიზმს და „პროფესიონალ პატრიოტებს“. ის იმეორებდა ხოლმე მამის სიტყვებს: „არგენტინაში ისტორიამ კატეხიზისი შეცვალა“, მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა კარლეილის შემდეგი შეხედულება: „მსოფლიო ისტორია წიგნია, ხოლო ჩვენ განწირულნი ვართ განუწყვეტლივ ვკითხულობდეთ და ვწერდეთ ამ წიგნს, რომელშიც თავად ვართ ჩაწერილნი“. წიგნი „მოღალატისა და გმირის თემა“ ბორხესი დახვენილი ოსტატობით გვაჩვენებს ისტორიის რელატიურობას.

ცხოვრება სიზმარია

საერთო სიზმრები არსებობს
და მას რეალობა ეწოდება.

ბორხესი, პერმან ბროხი „უცნობი სიდიდე“

ბორხესს (როგორც ჩანს, მხოლოდ მას), ეკუთვნის ღმერთი-სიზმრისმხილველის იდეა. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ არა მარტო ჩვენ ვმოქმედებთ, არამედ თავად ჩვენც ვიღაცის მეტაფორა, ვიღაცის სიზმარი, ვიღაცის ვწება ვართ. ბორხესისთვის კულმინაციური მომენტი დგება მაშინ, როცა სიზმრის პერსონაჟი გააცნობიერებს საკუთარ პერსონაჟობას.¹¹

ბორხესი სიმპათიით იყო გამსჭვალული

იდეალისტი ჯ. ბერკლის მიმართ. ბერკლის ღმერთი, ეს არის ყველგანმყოფი დამკვირვებელი, რომლის ამოცანაა, ხედავდეს სამყაროს, როგორც მთელს. ამისათვის – თითქოს უსწორებს ბორხესი – საჭიროა მას მუდამ ვესიზმრებოდეთ.

„ფუნესი, მესიერების სასწაული“

ხსოვნა უმაღლ იმაზე მიუთითებს,
რომ სულში უძრაობაა და არა მოძრაობა.

პლატონი „კრატილე“ 437 ბ

ბორხესი, რომელიც ამბობდა, რომ ჩან-ერისთანავე ივიწყებს ისტორიებს, ქმნის მთხ-რობელს, რომელიც გახსენებას ცდილობს. „Recuerdo“ (მახსოვს) – ასე იწყება მოთხოვნა. მთხოვნელი და გმირი ანტიპოდები არიან. ერთი მოგზაური მეცნიერია, მეორე ადგილზე მიჯაჭვული ინვალიდი. ერთი მოგონებებზე მონადირეა, მეორე კი მოგონებების მსხვერპლი. ცხენიდან გადმოვარდნისას, ფუნესი კარგავს ცნობიერებას, მაგრამ მოიპოვებს ჰიპერტროფირებულ მეხსიერებას.

ფუნესი ახერხებს ალემისა და გახსენების აქტი ერთდროულად მოახდინოს, თითქოს არისტოტელეს განსაზღვრების უარყოფა სურდ-

ეს: „არ შეიძლება აწმყოში იხსენებდე იმას, რასაც აწმყოში აღიქვამ“.¹² ფუნესი თავს აღიქვამს, შთაბეჭდილებების უნიკალურ საცავად და იმავდროულად, როგორც ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულ ნივთების ქაოსად:

მოძრაობა, დრო, სივრცე დიფერენციალების უსასრულო მწკრივებად იშლებიან. მთხრობელს ეჭვი ეპარება, აქვს თუ არა ფუნესს ასევე განსაკუთრებული აზროვნების უნარი.¹³

ფუნესის მტკიცება, რომ მისი სიზმრები ჰგავს სხვათა სიფხიზლეს, შეიძლება შევაბრუნოთ: ჩემი სიფხიზლე ისეთივეა, როგორც თქვენი სიზმარი. (ფუნესის ნათესავის სიტყვები მის დაცემაზე, მთხრობელის მხრიდან ხასიათდება, როგორც სიზმარი, შედგენილი უფრო ადრეული ელემენტებისგან). შიფრების შეცვლის და სახელების გადარქმევის, ახალი ენობრივი ნიშნების შექმნის მცდელობისას, მღვიძარე ფუნესი ასრულებს ოპერაციებს – ჩვეულებრივ სიზმარში რომ ხდება და რაღაცით გვაგონებს ფროიდის თეორიებს, რომლის მიხედვითაც, სიზმრის ფუნქციონირება მისი შესქელების და ძვრის ხერხებით წარმოადგენს სემანტიკურ სამუშაოს, ხოლო სიზმრის მეორედ დამუშავება, რომელიც ცდილობს აბსურდული შთაბეჭდილების მოცილებას, წარმოადგენს სინტაქსურ სამუშაოს. ფუნესი, ახალი ნიშნებით სახეს უცვლის სამყაროს, უძილობაში რომ ესიზმრება.

ბორხესის მიერ აღწერილი შემთხვევა საინტერესოა იმით, რომ გვთავაზობს სამყაროს განსაკუთრებულ მოდელს, რომელსაც წარმოაჩენს უსასრულობამდე განვრცობილ, უცნობი პრინციპებით შედგენილ კატალოგებში. ყველანაირი მოდელი შესაძლებელია და შეუძლებელია! – ასეთია ბორხესის პარადოქსული, იუმორისტულ-სერიოზული არგუმენტაციის არსი.

ს ხ ვ ა

მხოლოდ ურთიერთობაში..
იხსნება „ადამიანი ადამიანში“.

მ. ბახტიონი

ნოველაში „შემოჭრილი“ ძმები ნილსონები იმდენად შეკრულნი არიან უპიროვნო, გვაროვნული კავშირით, რომ „დამოუკიდებელი“ ნაბიჯის გადადგმა მათვის შესაძლებელია მხოლოდ სხვის, უცხოს განადგურებით. ასეთი ცნობიერებისთვის სხვა მისაღებია მხოლოდ როგორც დამცირებული, განადგურებული, რადგან გვაროვნული ტიპის ცნობიერებას ეშინია სხვების, ეშინია სხვებთან შერცხვენის (მათი ანონიმური, კოლექტიური მზერა და სასამართლო დაუინებით მყოფობს ამ ნოველაში).¹⁴

ბორხესი ხშირად ეხება ისეთ პრობლემას, როგორიცაა შეტყობინება და მისი წაკითხვა („განშტოებულ ბილიკთა ბალი“), ან როგორც ერთის, ისე მეორის შეუძლებლობა („ემა ცუნცი“). ბორხესის პერსონაჟები ვერ აღწევენ თავს საკუთარ ლაბირინთს და ისლა შეუძლიათ განავრცონ იგი. ერთმანეთის ძიება დაღუპვით მთავრდება – სხვა, (არა-მე) ასეთ სამყაროში მხოლოდ მკვლელი, ან მსხვერპლი შეიძლება იყოს.

სხვის უარყოფა ნიშანია საკუთარ ერთა-დერთობაზე განუზომელი პრეტენზისა. მითიური ასტერიოსი („ასტერიოსის სახლი“) მოიკვეთს საკუთარ თავს სამყაროსგან იმ მიზეზით, რომ „განუმეორებელია“. ასე ღალატობს ის თავის დანიშნულებას (ორფიკული ტექსტების მიხედვით) შეაერთოს მიწიერი და ზეციური.

ბორხესის პერსონაჟთა დიდი ნაწილი, თითქოს თავისით უუცხოვდებიან საზოგადოებას და მოხალისებად მიდიან ველურებში. ასეთია, ინგლისელი ქალი¹⁵ („ამბავი მეომრის და ტყვე ქალნულისა“), ასეთები არიან რეგრესის გზაზე დამდგარი პერსონაჟები მოთხრობებში „უკვდავი“, „ბროუდის მოხსენება“, „ოცდაათთა სექტა“.

და პირიქით, სხვისადმი გახსნილობით „სხვა სიკვდილის“ გმირი, პოულობს ძალას, მანკიერი წრის გასარღვევად და ქვეყნად იშვიათ ბედნიერებას შეიცნობს.

ორეულები, ანარეკლები

მრავლად გადაქცევა გასაკვირი არაა,
შენ გამოელება სცადე!

უჩენი „მოგზაურობა დასავლეთში“

ანტიკურობიდან მომდინარე მოწოდებას „შეიცან თავი შენი“ ბორხესი ორეულების თემას უკავშირებს („ნარმოსახვით არსებათა წიგნი“). თვითშემეცნების მსგავსად, გაორებით იწყებიან პოეტური ქმნილებანი, რომლებიც თავის მხრივ, მეორდებიან სხვა ხატებებში. ისინი, თითქოს სარკეებში აირეკლებიან და მათთვის ათვლის წერტილად იქცევიან საკუთარი სამყაროების შესაქმნელად. მწერალს ამოძრავებს მკრეხელური ვნება: მას სურს, შექმნილს მიანიჭოს ღვთაებრივი ყოფიერება. ამიტომ, მისი გაორება ერთმანეთში არეკლილ ხატებათა სიმრავლეში გადაიზრდება. ბორხე-სისთვის ანარეკლთა ასეთი სიმრავლე ლიტერატურის უმაღლესი ღირსებაა. ის თვლის, რომ ყოველი ანარეკლი სტილისტიკურად ორიგინალზე უმჯობესია, ისე, როგორც მენარის ფრაგმენტული „დონ კიხოტი“ სერვანტესი-საზე უფრო დახვეწილია.

შექმნილ ხატებაში თავის დაკარგვა ბორხესისთვის პოეზიისგან განუყოფელია: „ადა-მიანი იწყებს ქვეყნიერების ხატვას. გადის წლები, ის სივრცეს ავსებს პროვინციებით,

სამეფოებით, მთებით, ყურეებით, გემებით,
კუნძულებით, თევზებით, ოთახებით, ცხე-
ნებით, ვარსკვლავებითა და ადამიანებით,
ხოლო გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე
აღმოაჩენს, რომ ხაზების ეს მრავლისდამთ-
მენი ლაპირინთი მისივე სახის ნაკვთებია“
(ბორხესი „მუზეუმი“).

კომენტარები

1. შდრ.: „ლაპირინთი დაბნეულობის ნამ-დვილი სიმბოლოა. ამიტომაც ავირჩიე. ადამიანურ გრძნობათა შორის, ჩემთვის ყველაზე ჩვეული ხომ დაბნეულობა, აღტ-აცება და გაოცებაა. ოღონდ, ყოველთვის ჩესტერტონისული აღტაცებული გაოცება არა. ჩესტერტონი წერს: „თუკი მზე ყოვ-ელ დილას ამოდის, ამის მიზეზი ისაა, რომ ღმერთი ბავშვივითაა. მზე ამოდის, ღმერ-თი ხარობს, ტაშს შემოჰკრავს და ამბობს: კიდევ ერთხელ! ჩვენ ისე ნორჩი არ ვართ, როგორც მამაჩვენი. ჩვენ მოგვბეჭრდა მზის ამოსვლა, მზის ჩასვლა, წელიწადის ოთხი დრო, ადამიანის ასაკობრივი ფაზე-ბი, მას კი არა“. ბორხესი „ჩემი პროზა“
2. შდრ.: ადამიანი ისევე გაუჩინარდება, რო-გორც ზღვის სანაპირო ქვიშაზე მოხაზუ-ლი ფიგურა. მიშეღ ფუკო „სიტყვები და საგნები“
3. თითქოს ბოროტი სულის ნაკარნახევს ჰეგავს შემდეგი მსჯელობა: „ის, ვინც უნდა განახორციელოს საშინელი აქტი, უნდა წარმოიდგინოს, ეს უკვე ჩადენილი აქვს, უნდა მიიღოს მომავალი ისევე შეუცვლე-ლად, როგორი შეუცვლელიც წარსულია“ („განშტოებულ ბილიკთა ბალი“).
4. კაიროსის შეუძლებლობაზე წუხილად ჩანს ნიცშეანური პასაუი მოთხობაში „ემა ცუნ-

ცი“: მოუნდა, უცბად ხვალინდელ დღეში აღმოჩენილიყო, მაგრამ უმალვე მიხვდა სურვილის უაზრობას, რადგან მამის სიკვდილი ის ერთადერთი რამ იყო, რაც მოხდა სამყაროში და რაც უსასრულოდ გაგრძელდებოდა.

5. თითქოს კირკეგორის სიტყვების (თუ სამყაროს მრავალფეროვნებისათვის აუცილებელია, რომ ჯოჯოხეთში იყოს ერთი ადამიანი და ეს მე ვიქნები, მე მაინც უფსკრულიდან ქებას შევასხამ ღვთაებრივ სამართალს) გავლენა იგრძნობა „ბაბილონის ბიბლიოთეკის“ ამ ფრაგმენტში: დე, იარსებოს ზეცამ, თუნდაც პირადად ჩემი ადგილი ჯოჯოხეთში იყოს. დე, ვიცემო, ვენამო და გავნადგურდე, მაგრამ იყოს ერთი წამი, ერთი არსება, როდესაც ეს უკიდეგანო ბიბლიოთეკა თავის გამართლებას პოულობს.
6. ზენონის აპორია „აქილევსი და კუ“ Regressus in infinitum-ის აღმნიშვნელია. აი, რას წერს ბორხესი ესეიში „კუს ავატარები“: ჩვენ მოგველანდა სამყარო. ჩვენ ის დავინახეთ როგორც მკვრივი, იდუმალი, ხილული, განფენილი სივრცეში და მდგრადი დროში; მაგრამ როგორც კი დავუშვით ამ შენობაში უგუნურობის ვიწრო და მარადიული ნაპრალი, გასაგები გახდა, რომ ის ცრუა.
7. Mise en abime – ჰერალდიკური ფიგურა.

ბორხესისთვის აღნიშნავს მთელს, რო-
მელიც საკუთარი თავის ნაწილია. ესაა
„ალეფი“, ანუ ის წერტილი, სადაც გადა-
ჯვარედინდება პლატონის ფილოსოფიის
კატეგორიები – მსგავსი და განსხვავებუ-
ლი, მთელი და მრავალი, ეს იმ უფსკრულ-
ში ჩაძირვაა, რომელიც სამყაროს შესაქმეს
ჰქონდა.

8. შდრ.: წარმოსახვის უნარს მოკლებულ-
ნი, სისასტიკით გამოირჩევიან. ბორხესი
„ბროუდის მოხსენება“
9. ესეიში „ფსევდო ბასილიდეს გამართლე-
ბა“ ბორხესი წერდა: პირველ საუკუნეებ-
ში გნოსტიკოსები ეკამათებოდნენ ქრის-
ტიანებს. შემდგომ მათ ანადგურებენ.
თუმცა, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია
წარმოვიდგინოთ სავარაუდო ტრიუმ-
ფი. მაშინ, ალექსანდრიის და არა რომის
გამარჯვება, გიუური და უწმინდური ის-
ტორიები, ლოგიკური, ამაღლებული და
ჩვეულებრივი გამოჩნდებოდა.
10. შდრ.: „ხანდახან (ეს ყველაზე მძიმე კოშ-
მარებია) ვხედავ საკუთარ გამოსახულებას
სარკეში, მაგრამ გამოსახულება ნიღბიან-
ია, და ვერ ვბედავ ნიღბის ჩამოგლეჯას,
მეშინია, დავინახო ჩემი ნამდვილი სახე,
რომელიც საზარელი წარმომიდგება. შეი-
ძლება თვალწინ წარმომესახოს კეთრი,
ან უბედურება ან რამე ისეთი საშინელი,
რომ შეუძლებელია წარმოდგენა“. ბორხესი

„შვიდი სალამო“ გვ.42

11. უნდა ითქვას, რომ ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი უ. ეკოს სტატიიდან ძალზე ოპტიმისტურია. ბორჩესის უნივერსუმში ვერცერთი პერსონაჟი ვერ აღწევს თავს პერსონაჟობას და ვერ გარდაისახება ავტორად.
12. Arist. „De memoria et reminiscentia“, 10451 a/b. თუმცა აქ პლატონიც შეიძლება და-ვამატოთ. თავად ბორჩესი ესეში „პამპა“ შენიშნავს: აღქმა წარიმართება მეხსიერებით. ამ დოქტრინას ფსიქოლოგებამდე მრავალი საუკუნით ადრე ავითარებდა პლატონი.
13. შდრ. ნიცშე: „ზოგი იმიტომ ვერ ხდება მოაზროვნე, რომ ძალიან კარგი მეხსიერება აქვს“. ნიცშეზე აშკარა თუ ფარული მინიშნებები ამ მოთხრობაში უხვად არის.
14. არგენტინელი მწერალი რიკარდო პილია სტატიაში „სხვისი მეხსიერება“ შენიშნავს: „ბორჩესის საუკეთესო მოთხრობები ამ თემებს უტრიალებენ: პირადი მოგონების არასაიმედობა, გაყალბებული ცხოვრება, შემოტყუებული გამოცდილება. მისი პარანოიდული სამყაროს გასაღებიაარა ამნეზია, არამედ პიროვნებით და მეხსიერებით მანიპულირება. მკითხველს ისეთი გრძნობა უჩნდება, თითქოს გზა დაებნა და მას კვლავ და კვლავ აბრუნებენ მზაკვრულად აგებული ლაბირინთის ცენტრში. ბორჩ-

ესის პროზაში ასეთად წარმოდგენილ-ია პოლიტიკა. საკუმარისია „ბაბილონური ლატარია“ წავიკითხოთ, რათა გავიგოთ: სახელმწიფოს, როგორც ტოტალური სათვალთვალო აპარატის როლი, ესაა ყალბი მესიერების და უპიროვნო გამოცდილების შექმნა – „როგორც ყველა ბაბილონელი, მეც პროკონსული ვიყავი; როგორც ყველა, მეც ვყოფილვარ მონა. გამომივლია ყოვლისშემძლეობა, პატივის აყრა, დატუ-საღება“. შურისმაძიებელი რედ შარლახის ფიგურა („სიკვდილი და ფარგალი“), ამ ახალი ტიპის ცნობიერების გამომხატველია. გმირი აქ მთლიანად გარე სივრცეში ცხოვრობს, მასში არაფერია თავისი, არაფერია პიროვნული. გმირი ისაა, ვინც შაბლონად იქცევა, ვინც გაყალბებულ ცხოვრებას და შემოტყუებულ გამოცდილებას ამრავლებს“. შაბლონად გადაქცევას ბორჩესი აღწერს ნოველაში „მოღალატისა და გმირის თემა“, სხვისა მექსიერების ძალაუფლებას ადამიანებზე ნოველაში „შეხვედრა“.

15. ეპიზოდი, როდესაც გაველურებული ინგლისელი ქალი ცხვრის სისხლს ენაფება, უცნაურად, კონტრასტულად ჰგავს „ოდის-ემი“ აღწერილ აჩრდილთა გამოხმობას.

თარგმანები

რეფერატი კირკეგორზე

გახსნა

ამ თემაზე ყველაზე ღრმა განაზრებანი კირკეგორს ეკუთვნის. აქ თავს იჩენს თვითობის – ჩამოყალიბების ულრმესი წინააღმდეგობა: ადამიანს შეუძლია სურდეს გახსნა, ან არადა შეუძლია შეეწინააღმდეგოს ამას. ეს ძალები ყოველ ადამიანშია და მუდმივად ერთმანეთს ებრძვიან. გახსნა არასოდეს მთავრდება. ვიდრე ადამიანი არსებობს, იგი ცხოვრობს გახსნის პროცესში, ან საბოლოო გაუმჯვირვალობაში იკეტება. გახსნის პროცესი ხასიათდება არა ნებისმიერი გახსნილობით ყველასა და ყველაფრის წინაშე: „რაც უფრო განვითარებულია ადამიანში სინდისი, მით უფრო განვრცობილია იგი, თუნდაც ეს ადამიანი მოწყვეტილი იყოს გარე სამყაროს“. სოკრატეს ირონია იყო „ზუსტად ის ჩაკეტილობა, ისეთი მოწყვეტა გარე სამყაროსგან, რომელიც განივრცობდა ღვთაებრივში“. არასოდეს ინდივიდუალობა არ ვითარდება უფრო ღირსეულად, ვიდრე მაშინ, როცა ის ჩაკეტილია დიადი იდეის მშობლიურ წიაღში“.

გახსნას კირკეგორი თავისუფლებას უწოდებს, ხოლო თვითჩაკეტვას – არათავისუფლე-

ბას. ეს აბსოლუტური ჩაკეტილობა არ იკეტება კიდევ სხვა რამესთან ერთად (მსგავსად დიადი იდეის მშობლიურ წიაღში მცხოვრებისა), არამედ მასში იკეტება ადამიანი. ამ ორი სახის ჩაკეტილობას შორის (ერთი და იმავე სახელით რომ იწოდებიან) იმდენად არსებითია განსხვავება, რომ ისინი უბრალოდ საწინააღმდეგო მნიშვნელობისანი არიან. რეალურ სამყაროში მათი ბრძოლა განუწყვეტლივ გრძელდება. ბრძოლა უსასრულოდ მრავალფეროვანია. „ადამიანის ცხოვრებაში მწიფდება წამი, როცა მისი სული ითხოვს უფრო მაღალ ფორმას, რომელშიც შეუძლია სწვდეს საკუთარ თავს, როგორც სულს. ადამიანი მთლიანად ჩათრეულია მიწიერ ცხოვრებაში და ახლა სულს თითქოს უნდა ისევ მოკრიბოს თავი ამ გაფანტულობიდან“. მაგრამ განყენებისა და დაჩრდილვის გზები ურიცხვნი არიან: „კომფორტი¹; ცნობისმოყვარეობა, რომელიც ვერასოდეს ხდება ცნობისმოყვარეობაზე მეტი; ქალაჩუნობა, რომელიც წყნარდება და იმედდება, როდესაც სხვას ეყრდნობა; ფარისევლური იგნორირება; ჩლუნგი საქმოსნობაზე²; „ადამიანი ცდილობს, გართობის ან მუშაობის³ საშუალებით შეინარჩუნოს ბუნდოვანება საკუთარ თავთან მიმართებით“.

გახსნის გზა – შინაგანობაა. შინაგანობა კი – კირკეგორის მიხედვით – მარადისობის გაგებაა. „მარადისობის უარყოფა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სახით: როგორც

დაცინვა, როგორც დროითობით შთაგონებულობა⁴ და სხვა“.

სხეულის ფუნქციებით დაწყებული თვითცნობიერების ფორმებით დამთავრებული, არსებობს „არათავისუფლებათა“ მთელი მწერივი, რომლებშიც შეიძლება შეფერხდეს სული. გახსნის პროცესი ჩერდება როგორც „ზედმეტად დაძაბულ მგრძნობელობაში, აღგზნებადობაში, ნევრასთენიაში, ისტერიაში, იპოქონდრიაში და ა.შ. აგრეთვე მყარად დაცულ ორთოდოქსიაში, ლვისმოსავად გაწვრთნაში, „ობიექტურ“ ჭეშმარიტებაზე ჩაციკვლაში. როცა ეს მყარად აღძექდილი პოზიციები გახსნილი და გაგებული უნდა გახდნენ, ადამიანს ყოველთვის შიში იპყრობს. ის ეწინააღმდეგება გამორკვევას, რადგან ჩაეფლო შეზღუდულ თვითობაში, რომელსაც არსებით თვითობად მიიჩნევს თვითობად-ჩამოყალიბების მაგიერ. ამ მოვლენებმა მხოლოდ იმიტომ შეძლეს მისთვის დამაბრკოლებელ, შეულწევად ხატებებად აღმოცენება, რომ მან ზურგი აქცია გახსნის პროცესს, რომელიც მუდამ კითხვის ნიშნის ქვემაა, მაგ.: „რა ძალისხმევას აღარ მიმართავენ ჩვენს დროში, რათა მოიყვანონ ახალი მტკიცებულება სულის უკვდავებისა; ფიქრი უკვდავების შესახებ თავისთავში ატარებს ერთგვარ ძალაუფლებას. მისი შედეგები გვაფორიაქებს, მისი მიღება გულისხმობს პასუხისმგებლობას, რომელიც შესაძლოა ისე შეცვლიდა მთელ ცხოვრებას, რომ ადამიანებს

ამის შეეშინდებოდათ. ამიტომ ისინი თავს იწყნარებენ იმით, რომ გონებას ძაბავენ და ახალ მტკიცებულებას ეძებენ... ყოველი ასე-თი პიროვნება, რომელსაც ძალუძს მოიყვანოს მტკიცებულება სულის უკვდავების სასარგე-ბლოდ, თუ მაინც არაა შესაბამისად მიმართული, მუდამ შეძრნუნდება იმ კითხვის წინაშე, თუ რას უნდა ნიშნავდეს, რომ ადამიანი უკ-ვდავია. ეს ყოველთვის შეაწუხებს, ყოველთ-ვის დისკომფორტს შეუქმნის, თუკი სრული-ად უბრალო ადამიანი სრულიად უბრალოდ ილაპარაკებს უკვდავებაზე“. „ყველაზე მკ-აცრი ორთოდოქსის მომხრემ... იცის ყვე-ლაფერი, რისი ცოდნაც აუცილებელია; იგი მუხლს იყრის სიწმინდის წინაშე; ჭეშმარიტება მისთვის – ცერემონიის განსახიერებაა... მან ეს ყველაფერი იმ ადამიანივით იცის, ვისაც შეუძლია მათემატიკური განტოლების გამოყ-ვანა, თუ გამოიყენება ასოები ABC, მაგრამ არ შეუძლია, თუ გამოიყენება DEF; ამიტომაც ეშ-ინია, როდესაც ისეთი რამ ესმის, რაც ზუსტად იგივე არ არის“⁵.

შინაგანობა (რაც კირკეგორთან თვითონ-ბის–ჩამოყალიბების, გახსნის იდენტურია) არ გაგვაჩინია არა მექანიკურად, არამედ ნებაზე მიშვებულ ქმედებათა გამო. ყველა იმ ფორმას, სადაც შეწყვეტილია გახსნა, კირკეგორი მოიხ-სენიებს, როგორც „სასონარკვეთას“. ამასთან, სასონარკვეთილ ადამიანს ან არ სურს საკუ-თარ თავად ყოფნა, ანდა პირიქით ანჩხლობის

გამო სურს დარჩეს ისეთად, როგორიც უკვე
არის.

სასონარკვეთილება, რომელსაც არ სურს საკუთარი თავი

ის, რაშიც ასეთი ადამიანი (რომლის არ-
სებობაც განისაზღვრება, როგორც უშუა-
ლობა) ხედავს საკუთარ ცხოვრებას, იკარგე-
ბა „ბედის დარტყმით“... იგი უწოდებს თავს
სასონარკვეთილს, განიხილავს თავს გარ-
დაცვლილად, როგორც საკუთარ აჩრდილს. ეს
თავისებური ონია – „თავის მომკვდარუნება“.
თუკი მოდის გარედან დახმარება, კვლავ იწ-
ყება ახალი ცხოვრება... თუ არავითარი დახ-
მარება არ მოდის, ადამიანს მაინც უბრუნდება
სიცოცხლე, ოლონდ: „აღარასოდეს გახდება ის,
ვინც იყო“. სასონარკვეთის უამს მისთვის არ
არსებობს უფრო სანუკვარი სურვილი, ვიდრე
სხვად ყოფნა ან სხვად გახდომაა. რადგანაც
უშუალო ადამიანი საკუთარ თავს არ იცნობს,
იცნობს მხოლოდ მუნდირით და გარეგანი მხ-
რიდან ასკვნის, რომ ფლობს თვითობას.

თუ უშუალობა ნაწილობრივ მაინც შეი-
ცავს რეფლექსიას, მაშინ ადამიანს შეიძლება
აღარ სურდეს სხვად ყოფნა, მაგრამ იმ ადა-
მიანივთ იქცევა, რომელმაც სახლი მიატოვა

და ელის, როდის გადაივლის ყველა უბედურება. ვიდრე სიძნელეები არსებობს, იგი ვერ ბედავს შინ დაბრუნებას. მხოლოდ ხანდახან თუ შეიხედავს, ცვლილებების მოლოდინში. და თუ მართლაც ყველაფერი შეიცვალა კვლავ ბინადრდება, კვლავ „საკუთარ თავად იქცევა“, როგორც თვითონ ამბობს, თუმცალა სინამდვილეში იმას უბრუნდება, რაზედაც შეჩერდა. აქ ადამიანი, ასე ვთქვათ, „ქვევიდან გამოძრომას“ ცდილობს.

თუკი სიძნელეები არსად უჩინარდება, მაშინ იგი სხვა ხერხით შველის თავს. შინაგანობისგან სავსებით პირს იპრუნებს. მისთვის თვითობის მთელი სიღრმისეული პრობლემა გადაიქცევა თავისებურ ყრუ კარად სულის მივარდნილ ადგილას; კარად, რომლის მიღმაც არავინაა. იგი იწყებს მხოლოდ გარეგან, როგორც იტყვიან, ნამდვილ, საქმიან ცხოვრებას. იმ მცირეოდენ რეფლექსიას, რომელიც ჯერაც შერჩენია, ძალზედ წინდახედულად ექცევა... თანდათანობით კი მის დავიწყებას ახერხებს; წლების შემდეგ სასაცილოდაც არ ჰყოფნის ის, – მან ხომ ბედნიერად იქორწინა, ხომ საქმიანი, ფხიანი ადამიანია, მამა და ბიურგერი. ცხოვრების გაკვეთილების დასწავლის შემდეგ საკუთარ დროსა და საკუთარ ბედს შეეგუა.

ასეთ ადამიანთა ცხოვრებაში ზოგჯერ ისიც ხდება, რომ საკუთარ სულში ჩაიხედავენ ხოლმე. თუმცა პირველ სიძნელეებამდე მიდიან და შემდეგ თავს ანებებენ. მაშინ ისინი ივი-

წყებენ თავიანთ საუკეთესო ხანას, თითქოს ის პავშვობა ყოფილიყოს. ასეთი სასოწარკვეთა – ყველაზე უჩვეულებრივესია. ამიტომ, გავრცელებული აზრის თანახმად, სასოწარკვეთა ახალგაზრდობას შეშვენის და არა ჩამოყალიბებულ ადამიანს. თუ ვიგულისხმებთ, რომ რწმენასა და სიბრძნესთან მიმართებაში ყველაფერი იმგვარად მოსახერხებელია, რომ წლებთან ერთად ეს ყველაფერიც გვემატება, მაშინ მხედველობიდან გამოგვრჩება, რომ ადამიანი – სულია და არა ცხოველის ჯიში. სინამდვილეში სულ პირიქითაა. წლებთან ერთად მან შეიძლება დაკარგოს ცოტაოდენი ვნებიანობა, გრძნობა და ფანტაზია, მცირედი შინაგანობა, რომელიც ჰქონდა, და ყოველგვარი წილადობილას გარეშე მივიდეს ისეთ ტრივიალობამდე, როგორიც ცხოვრების მუღამის გაგებაა. თუკი ადამიანი ნამდვილად ვითარდება წლიდან წლამდე, ის ხდება მომწიფებული თვითობის რაობის გაცნობიერებაში და შესაძლებელია, უფრო მწარედაც წარეკვეთოს სასო.

ასეთი სასოწარკვეთა საკუთარი სისუსტის გამო ვალალებს. მაგრამ იმის მაგივრად, რომ გადაუხვიოს ამ გზიდან, რათა რწმენამდე მივიდეს, ის ულრმავდება სასოწარკვეთასა და სისუსტეს.⁶ ასეთი სახით კარჩაკეტილი ადამიანი მოჯადოებულ წრეზე მოძრაობს. თუ ეს გაუცხოება გრძელდება, მაშინ თვითმკვლელობის საფრთხე წარმოიქმნება. თუმცა

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვინმეს გული გადაუშალოს, მაგრამ ამას მაშინვე ინანებს. ასეთი ტიპის ადამიანი შეიძლება შევადაროთ ტირანს, რომელსაც უნდა ვინმესთან თავის ტანჯვაზე ისაუბროს და, ამგვარად, უამრავ ადამიანს ხოცავს. მისთვის სანდო ადამიანებს უეჭველი სიკვდილი ელით.

სასოწარკვეთა, რომელსაც სურს საკუთარი თავი. სიჯიუტე

მარადიულის წყალობით თვითობას ვა-შკაცობა ეყოფოდა საკუთარი თავის დასა-კარგავად, რათა მოეპოვებინა ის.⁷ აქ კი მას თვითდამკვიდრება სურს. მისი მიმართება საკუთარი თავისადმი ექსპერიმენტულია. მას არ გააჩნია არავითარი ძალაუფლება საკუთარ თავზე, ამიტომაც საფუძველშივე არ ჰყოფნის სერიოზულობა. მას მხოლოდ სერიოზულობის სიმულაცია შეუძლია. თვითობას ისე მცირე შანსი რჩება, რომ სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება მისი ჰიპოთეტურობა. ის – მეფეა სამე-ფოს გარეშე. სასოწარკვეთილი თვითობა მხ-ოლოდ ოცნების კოშკებს აგებს შეუსვენებლივ და სიცარიელეს ეფარიკავება. მისი ხიბლი წამ-იერია – ასეთი თვითფლობა, ასეთი სიმტკიცე, ასეთი ატარაქსია და ა. შ. და მაინც, მისთვის

შეუცნობელი რჩება მისივე არსი. საბოლოოდ ის რაიმე პრინციპულ ვნებას შეეყრება. მაშინ იგი თავს კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთედ ივრძნობს. თავს ირწმუნებს, თითქოს ხიჭვი ისე ღრმად შეჭროდეს ხორცში, რომ მისი მოშორება შეუძლებელი იყოს. იგი ბოროტდება მთლიანად არსებობაზე და, თუ საქმე საქმეზე მიდგა, ხალისით აირჩიეს ყველანაირ ჯოჯოხე-თურ წამებას, ვიდრე შველა ითხოვოს. ტანჯულს მართალია აქვს ერთი-ორი წესი, რომლი-თაც მისაღები იქნებოდა დახმარება... მაგრამ თუ ისეთი დამხმარეს ხელში აღმოჩნდება, ვისთვისაც ყველაფერი შესაძლებელია, ხოლო თვითონ თითქოსდა არარად უნდა იქცეს, მაშინ იგი გაჭიანურებულ ტანჯვა-წამებას ამჯობინებს.

დ ე მ ო ნ უ რ ი

ადამიანი, რომელიც აცნობიერებს, რომ ჯიუტად სურს საკუთარი თავი, „დემონური“ ხდება. რელიგიური ადამიანი სავსებით მიემართება ღმერთს, დემონური კი – საკუთარ თავს. მიუხედავად ამისა, მისთვის უცხო არაა განსულიერება („დემონურ ადამიანში უფრო მეტი კარგია ჩადებული, ვიდრე ტრივიალურ-ში“). დემონური ადამიანი ეგზისტირებს. ჩვენს პირწმინდად სპექულაციურ დროში „ადამიანი, რომელიც უბრალოდ ეზისტირებს ისეთივე ენ-

ერგიით, როგორც საშუალო ბერძენი ფილო-სოფოსი, ითვლება დემონურად“.

„რაც მეტია ცნობიერება ასეთ ადამიანში, მით მეტ ძალას იძენს სასოწარკვეთა და გარდაიქმნება დემონურში. მას უკვე აღარ სურს ტანჯვისაგან გათავისუფლება. ოდესლაც ყველაფერს მსხვერპლად გაიღებდა, ოღონდაც მისგან თავი დაეღწია. მაშინ აიძულეს მოეცა-და და უკვე ყველაფერი დაგვიანდა. ახლა მას სურს აუმხედრდეს ყველას, უნდა ის ადამიანი იყოს, ვისაც უსამართლოდ მოექცა მთელი სამყარო. მან დაიწყო თვითობის აბსტრა-ჰირებიდან და შედეგად ისეთი კონკრეტული გახდა, რომ უკვე შეუძლებლად ეჩვენება მარადისობა“. „თავის დროზე კიდევ შეიძლებოდა, რომ გადავრჩენილიყავი“ – აი, ყველაზე საშინელი სიტყვები, რომელიც აზრად მოსდის“. დემონური წება სიბნელეს აფარებს თავს: „ჩაკეტილობას შეიძლება სურდეს გახსნა, მაგრამ იმავდროულად ნაშთსაც იტოვებს, რათა ჩაკეტილობა კვლავ აღორინდეს. გახსნას შეუძლია გაიმარჯვოს კიდეც, მაგრამ იმნამსვე ჩაკეტილობა ბოლო ძალის სტაციონარის მიმართავს და საკმაოდ მარჯვედ გარდაქმნის გახსნას მისტიფიკაციად, რის შედეგადაც იმარჯვებს კიდეც... საქმე ისაა, სურს თუ არა ადამიანს უღრმესი აზრით შეიცნოს ჭეშმარიტება, სურს თუ არა მთლიანად განიმსჭვალოს მისით, მიიღოს მისი შედეგები, ხომ არ ინახავს სადმე თავშესაფარს, ხომ არ ამჯობინებს მისი შედე-

გებისადმი იუდას კოცნას“.

ნამდვილი ნიშანი დემონური ადამიანისა, რომელიც მიბმულია თავის შემთხვევით თვი-თობაზე როგორც აბსოლუტურზე, არის ის, რომ მისთვის უკვე აღარაფერია სერიოზული. კირკეგორს მოჰყავს მაკბეტის სიტყვები (თქმული მეფის მკვლელობის შემდეგ): „ამ-იერიდან ჩემთვის ცხოვრებაში აღარაფერია სე-რიოზული“. სერიოზულობის წინაპირობა ისაა, რომ ადამიანი მარადიულისკენ ეგზისტირებს. „სერიოზულობა ამ გაგებით თვით პიროვნებას აღნიშნავს. ეს მისი ყველაზე უტყუარი სა-ზომიცაა. ვისაც სურს შეისწავლოს დემონური, უნდა დააკვირდეს, როგორ მიიწვდომება მა-რადიული ინდივიდში... ადამიანები უარყოფენ მარადიულს ადამიანში, განმარტავენ მარადი-ულს მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქტულად, ფანტასმაგორიულად აბამენ დღროში და სხვა“. ასეთ შემთხვევებში „მარადისობა არ სურთ გაიაზრონ სერიოზულად, მისი ეშინიათ, შიში კი ათასგვარ ხრიკს მიმართავს. დემონურობაც ზუსტად ეს არის“.

კომენტარები

1. შდრ. ჰეგელი: ის რასაც „კომფორტს“ უწოდებენ, დაუსაზღვრავია და უძირო. სინამდვილეში ესაა სწორედ დისკომფორტის წყარო – რაკიდა მეტი კომფორტი-საკენ მისწრაფება სულაც არაა უშუალ-ოდ შინაგანი სურვილით განპირობებული; ამისკენ ისინი გიბიძებენ, ვინც ცდილო-ბენ, სარგებელი ნახონ აქედან.
2. შდრ. ფრაგმენტი 6. ბერდიაევის წიგნიდან ლეონ ბლუას შესახებ: ლეონ ბლუასთვის ბურუუას მთელი ეკონომიკა არის თეო-ლოგია, პირუკუ თეოლოგია. „არასოდეს არც მექსიკურ და არც პაპუასურ კერპს არ მოუთხოვია ასეთი საშინელი მსხვერ-პლი. თავისი ბუნებით ბურუუა – სამოთხის გამანადგურებელია. როცა ლამაზ ადგ-ილს შენიშნავს, ოცნებობს, გაკაფოს ხეე-ბი, ამოაშროს წყაროები, გაიყვანოს გზები, გამართოს დუქნები და... ამას უწოდეს „საქმის დაწყებას“.
3. შდრ. ჰეგელის ღრმააზროვანი გამონათქვა-მი: უბედური ცნობიერება საკუთარ თავს პოულობს ყოველთვის ან სურვილით ატ-ანილს, ან მომუშავეს.
4. შდრ: 6. ბერდიაევი: დრო მარადისობის გა-რეშე მარადისობისაგან განდგომაა; მასთან ერთად კი მარადისობის მომენტია და ამ-იტომაც აქვს აზრი. იხ. ბაჩანა ბრეგვაძე,

დრო და მარადისობა, გვ. 87.

5. ნეტარი ავგუსტინეს პოზიცია არსებითად განსხვავებულია: მსურს შევიცნო ღმერთი და სული. – და მეტი არაფერი? – სრული-ად არაფერი.
6. ამ ლაბირინთიდან ლეონ ბლუა ასეთ გა-მოსავალს გვთავაზობს: უნდა ვილოცოთ. ყოველივე დანარჩენი ამაოქბა და სიბრი-ყვეა. უნდა ვილოცოთ, რათა ავიტანოთ ამ ქვეყნის სისაძაგლე. უნდა ვილოცოთ, რათა წმინდა ვიყოთ. უნდა ვილოცოთ, რომ ლოდინი შევძლოთ. არ არსებობს არც სასოწარკვეთა, არც შავი ნაღველი ადამი-ანისთვის, რომელიც ბევრს ლოცულობს.
7. შდრ. მათე 10, 39: ვინც ჰპოვებს თავ-ის სულს, დაჲკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისათვის დაჲკარგავს თავის სულს, მოიპოვებს მას.

ქალის იდეალი

დაე, იყოს ქალი ჩუმი. მდუმარებით თვისით, ის შეინახავს სიტყვას. დუმილი მისი გამოხატავს იმას, რაც უღრმესად დაფარულია მასში. გრამს, შენ დუმილის? მე მწამს! როდესაც კაენი აბელს კლავდა, აბელი დუმდა, მაგრამ აბელის სისხლი ცას შეჰდალადებდა – საშინელი მჭერმეტყველება, რომელიც არ დუმდება! ოჟ, დუმილის ძალავ! განა იმ პრინცის¹ მდუმარება უმნიშვნელო იყო? ბევრი ყვიროდა მაშინ ქვეყნის განთავისუფლებაზე – მხოლოდ ის ერთი დუმდა..

ასევე ქალიც. როგორც უკვე ნათქვამია, ის არ ლაპარაკობს ეკლესიაში². ის დუმს. ის არც შინ ალაპარაკდება რელიგიაზე, რადგან დუმილს ინახავს. რას უნდა ნიშნავდეს ეს დუმილი? ის დაკავებულია საოჯახო საქმეებით, ცხოვრობს მთლიანად აწყობში, თითქოს მთელი სულით აქ არის, თვით ყველაზე უმნიშვნელო წვრილმანებშიც კი. ის სიცოცხლით სავსეა, მას სახლში მხიარული განწყობა შემოაქვს, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ბავშვებს, მაგრამ მისი შემყურე, მაინც საკუთარ თავთან საუბრობ, რადგან ის – დუმს! კი მაგრამ, რა იმალება ამ დუმილის უკან? რა იმალება? მოდით, ნუ ვეცდებით ამის გარკვევას, მაგრამ დავფიქრდეთ – ეს დუმილი, ხომ ზუსტად ის

არის, რის საჭიროებასაც ყველაზე მეტად განვიცდით (თუკი, რა თქმა უნდა, ღვთის სიტყვას, კიდევ უნდა გააჩნდეს მცირეოდენი ძალა ადამიანზე). თუ მიმოვიზილავთ თანამედროვე მსოფლიოს მდგომარეობას, იძულებულნი ვიქენებოდით გვეთქვა: ჩვენ, ჩვენი საზოგადოება, ავად ვართ! და, თუ შემეკითხებოდენ, როგორ გგონიათ, რა უნდა გავაკეთოთო, მე ვუპასუხებდი: პირველი, გადაუდებელი რამ, რაც უნდა გავაკეთოთ, ესაა – გამოვათავისუფლოთ დუმილი! ვეცადოთ, მოვიპოვოთ დუმილი, რამეთუ უკვე შეუძლებელი გახდა ღვთის სიტყვის გაგონება. თუ, მისი ძახილის³ გამაძლიერებლების დახმარებით მიწვდენა მოგვიხდა (რათა ადამიანებმა გაიგონონ ამ ცხოვრების სპექტაკლში), ეს ხომ უკვე ღვთის სიტყვა აღარ არის.

ყველა ხმაურმა მოიცვა. ჩვენს დროში ყოველი ლონისძიება, თუნდ უმნიშვნელო, ყოველი შეტყობინება, სრულიად უმნიშვნელოც კი, გათვლილია მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ააფორიაქონ გრძნობის ორგანოები, ან წარმოშვან აურზაური მასაში, ბრძოში, პუბლიკაში და ადამიანიც, თითქოს ძილი დაუკარგავსო, ცდილობს აღმოაჩინოს ახალ-ახალი საშუალებები ხმაურის მოსამატებლად, მგრგვინავი სიცარიელის გასავრცელებლად, თან რაც შეიძლება მეტი ფუსფუსით და რაც შეიძლება დიდი მასშტაბებით. ორიენტირთა ასეთი ცვლილება მაღე მიაღწევს

მიზანს – შეტყობინებები სრულ უაზრობამდე დაეშვებიან, ხოლო შეტყობინების საშუალება-ნი მიაღწევენ მაქსიმუმს თავიანთი აჩქარებული, ყოვლისმომცველი და ყოვლისწამლეკავი დინებით. რამეთუ, არაფერი ასე არ მიისწრაფის მსოფლიოში და არაფერს მოუპოვებია ასე გავრცელება, როგორც ლაყბობას.

ამიტომაც – ჰერმენ სიჩუმე!

ქალს ხომ შეუძლია უამრავი გზით მოიპოვოს ძალაუფლება – თავისი სილამაზით, თავისი ხიბლით, ბედნიერი ცნობიერებით. თუნდაც, სილარიბე ხვდეს წილად, ქალს შეუძლია ისე მოაწყოს სახლი, რომ იქ სითბომ და სინათლემ დაისადგუროს. ხოლო თუ მდიდრული ცხოვრება ერგო, მას ინსტინქტური ტაქტით შეუძლია, ლამის მიჩქმალოს სიმდიდრე, მაგრამ თუ დაავიწყდა სახლში შეეტანა ერთი, ერთადერთი რამ, მას არ ექნება, უმთავრესი! რა არის ეს? დუმილი! დუმილი ხომ იმაში არ მდგომარეობს, რომ უბრალოდ არ ლაპარაკობენ..

მიაქციეთ ყურადღება ამ ყველაფერს მანდილოსანნო! და თუ არ გაითვალისწინებთ, რომ უმთავრესი არის ჰარმონია, რომ აი, აქვეა დუმილი, მაშინ დუმილი არასოდეს შევა სახლებში. გაიხსენეთ მოციქულის სიტყვა და შეძლებთ საკუთარი თავის დანახვას სიტყვის სარკეში. რადგან, ქალი, რომელიც სულ სარკის წინ ტრიალებს პატივმოყვარე ხდება, ხოლო პატივმოყვარეობის მეშვეობით ყბედი. ასევე,

ქალი, რომელიც თავს მხოლოდ დროის სარკე-ში ხედავს, მყვირალა და ხმაურიანია. და მხ-ოლოდ ისეთი ქალი, რომელიც საკუთარ თავს სიტყვის სარკეში ჭვრეტს, ხდება მდუმარე. თუ ის, მჭერმეტყველი გახდა, ეს ნიშნავს, რომ ის შეიძლება კარგი მეხსიერების მქონეა, მა-გრამ ვინც ყოველივე ამით მდუმარე გახდა, მხოლოდ ისაა სრულიად სანდო. თავადაც ხომ იცი: ვისაც უყვარდება, მასში ენამზეობა იღ-ვიძებს, თუმცა, რამდენად საიმედოა, სიყვარ-ულის შენახვა მდუმარებაში.

კომენტარები

1. იგულისხმება, პრინცი ვილჰელმ ორანელი.
2. 1 კორ. 14:34
3. შდრ. მაისტერ ეკვარტი: „ჩვენს დუმილში ლმერთის ძახილი ისმის“.

იუან მეო (XVIII ს.)

მორჩილი ოცნებობს ვეფხვზე

ერთმა ბუდისტმა ბერმა, რომელიც უტაიშანის მთებში ცხოვრობდა, მორჩილად სამი წლის ბიჭი აიყვანა.

უტაიშანის მთა მეტად მაღალია, ხოლო ბერი და ბიჭი ყველაზე მაღალ მწვერვალზე ცხოვრობდნენ, მთელი გულით სრულყოფილებას ესწრაფოდნენ და ქვემოთ ერთხელაც არ ჩამოსულან.

ათი წლის შემდეგ, როდესაც ისინი ბარში ჩამოვიდნენ, მორჩილმა პირველად დაინახა ჯორები, ცხენები, მამლები, ძალლები. ამიტომაც, ბერი ყველაფერს უხსნიდა: აი, ეს – ჯორია, მისით მინდვრის მოხვნა შეიძლება; ეს ცხენია – მისით მისვლა-მოსვლა შეიძლება; ეს კი – ძალლია, ის სახლს დარაჯობს. მორჩილი პასუხად თავს უქნევდა.

მალე მათ გვერდით, ახალგაზრდა გოგონამ ჩაიარა.

– და ეს რა არის? – იკითხა მორჩილმა.

ბერმა, რადგანაც არ სურდა, რომ მორჩილს ამგვარ არსებებზე ეფიქრა, სერიოზული სახით უპასუხა:

– ეს ვეფხვია, ყველას ჭამს, ვინც მიეკარება, ერთ პატარა ძვალსაც კი არ ტოვებს. საღ-

ამოს, როცა ისინი შინ დაბრუნდნენ, ბერმა
ჰქოთხა:

— რაო, მოგეწონა რაიმე არსება, იქ, ქვე-
მოთ?

— არა! — უპასუხა მორჩილმა, — მხოლოდ
ის ვეფხვი, ადმიანებს რომ ჭამს, ძალიან მომე-
ნონა. არაფრით გონებიდან არ ამომდის...

პუ სუნ-ლინი

დაოსი ცზიუი იაო-ჟუ

ცზიუი იაო-ჟუ ცხოვრობდა ცინჩუოში. ცოლის სიკვდილის შემდეგ, მან მიატოვა სახლი და გაემგზავრა.

გავიდა რამდენიმე წელი და ის გამოჩნდა დაოსურად შემოსილი. თან სალოცავ ჭილოფს ატარებდა.

მომდევნო დილას წასვლა დაპირა. ნათესავებმა სამოსი და კვერთხი ძალით დაატოვებინეს. ცზიუიმ თქვა, რომ სახეტიალოდ მიდიოდა და სოფლის ბოლომდე იარა. გავიდა ველად და აი, მისი სამოსი და ნივთები ნარნარად გამოფრინდნენ სახლიდან, მის კვალდა-კვალ.

სარჩევი

| | |
|--|----|
| სიმინდის მარცვლებით შემოსაზღვრული ქვეყანა | 3 |
| მინიატურები | 33 |

| | |
|--|----|
| ხორხე ლუის ბორხესი „შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი“ | 42 |
| აზრები | 48 |

ესე

| | |
|--|----|
| ხორხე ლუი ბორხესი – პორტრეტი სარკის ნამსხვრევებში | 55 |
|--|----|

თარგმანები

| | |
|---|-----|
| კ. იასპერსი. რეფერატი კირკეგორზე..... | 83 |
| ს. კირკეგორი. ქალის იდეალი | 96 |
| იუან მეი. მორჩილი ოცნებობს ვეფხვზე... . | 100 |
| პუ სუნ-ლინი. დაოსი ცზიუი იაო-ჟუ | 102 |

დავით შერგელაშვილი

სიმინდის მარტვლებით
შემთხვევაზე
ქვეყნა

რაოდენობა 200 ცალი